

# საქართველო

# საქართველო



საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САҚАՐՏՎԵԼՈ

20 სექტემბერი, 2013 წ. №62 (3672) ბამოცემის 77-მ წელი ღირსი 1 ლარი

თამაზ ნივნივაძე



**ქვირფასო  
თანამეგობარო!**

მიმდინარე კვირა ძველი „პირველი სექტემბერია“ – ანუ ის დროა, როცა საქართველოში ყოველგვარი სწავლა-განათლება ქვეყნის მასშტაბით იწყებოდა!

ამიერიდან ეს ყველაფერი ოდნავ დაგვიანებით ხდება, მაგრამ, ვისაც ცოდნის მიღება სურს, ეს დროც საკმარისია!

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია და გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ ულოცავენ ქვეყნის ახალგაზრდობას და განათლების მუშაკებს ამ დღის დადგომას; ხოლო მათ ყოფილ მინისტრს, ბატონ მარგველაშვილს პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენას!

ერთი სიტყვით, წინამდებარე წერილში საუბარი იქნება საქართველოს ისტორიის ერთ გარკვეულ მონაკვეთზე, რომელიც შეიძლება ასედაც დასათაურდეს –

**„გიგლა ტიტინადან გიორგი მარგველაშვილამდე!“**

კი, მარგველაშვილიც ტიტინაა, მაგრამ ახლა სწავლაზე კი არა, პრეზიდენტად გახდომისთვის ტიტინებს!

არც გაემტყუნება! რადგან ეს დალოცვილი ისეთ პიროვნებას ჰყავს კანდიდატად წამოყენებული, რომელსაც, გარდა მილიარ-

## საქართველო - „გიგლას ციყინას“ გიორგი მარგველაშვილამდე

დობით ქონებისა, ერთი კარგი თვისებაც აქვს – ტირიფის ჯოხს კაცის შარვალი რომ ჩამოაცვას, პრეზიდენტი ისიც კი გახდება!

სხვათა შორის, წერილი დაწერილია „გიგლა სწავლობს ტიტინას“ ხმაზე!..

მარგველაშვილის ტიტინი კი, ვინმემ რეკლამად რომ არ ჩამითვალოს, დარჩენილ ტექსტში აღარსად ისმის!..

**გიგლა, გეყოფა სწავლა!..**

მას აქვთ, რაც ქართველმა ბავშვებმა სწავლაზე ხელი აიღეს, ამ ბიჭის საცოდანობა მკლავს! –

ლამის არის ქვეყნის გასაგონად მეც ვიყვირო:

**„გიგლა, გეყოფა სწავლა!..“**

მართლა რა გახდა ასეთი! – დღეს, როცა საქართველოში სწავლა არავის უნდა, მარტო გიგლამ რატომ უნდა ამოიღამოს წიგნის კითხვით თვალები?!

ცუდად არ გამიგოთ! – მე, ცხადია, გიგლა მეცოდება, თორემ ახლა რომ ჩვენი ბავშვების ხელში წიგნი დამანახა, ამ სიხარულს, შეიძლება, კიდევ გადავყვე!

არადა, გული როგორ არ დაგწყდება კაცს! ამ მშვენიერი ლექსის ავტორი, რაფიელ ერისთავი, ისე იოლად წერს, ვითომც არაფერი!

**„სწავლობს გიგლა ტიტინა...“**

შენ გაგახარა, გიგლა, ღმერთმა! რამდენი ხანია, ასეთ რამეს – ბავშვს რომ ხელში წიგნი ჰქონოდა! – არც მე შევსწრებოვარ და აღარც სხვისგან გამიგონია!..

\*\*\*

ეტყობა, როცა ეს ლექსი დაინერა, გიგლას გარდა, სხვებზეც სწავლობდნენ!

აბა, თუ სხვა ბავშვები სათამაშოდ ეზო-ყურეს იყვნენ მოდებულნი, ეს ჩვენი ცხრათვალა მზე რალა მაინცდამაინც გიგლას მიადგებოდა!

**„გიგლა, გეყოფა სწავლა, ახლა კარგია გავლა“-ო!**

თუ მაშინაც არავინ სწავლობდა, ბავშვების მეტი რა იქნებოდა ეზოში! – მზეც ადგებოდა და რომელიმე მათგანთან ითამაშებდა!

მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ იმ დროს ქუჩაში მოთამაშე ბიჭს ადვილად ვერ ნახავდით, – ბავშვები ან მშობლებს ეხმარებოდნენ, ან გაკვეთილებს სწავლობდნენ!

იდგა ამხელა მზე ეზოში და თვალს აქეთ-იქით აბრიალებდა!

მერე, გარეთ რომ ვერავინ შენიშნა, გიგლას მოადგა!

**„გიგლა, გეყოფა სწავლა,**

**ახლა კარგია გავლა – გამო, შეითამაშე“-ო!**

ვითომც გიგლას კულტურულ გართობაზე ფიქრობდა! – არადა, გულში სხვა რამ ედო – თვითონ უნდოდა მასთან თამაში.

რალას არ დაჰპირდა ბავშვს!

**„გამო, შეითამაშე, არვინ ეტყვის მამაშენს“-ო!**

ცხადია, გიგლას არც ის უფიქრია, ვინმე ჩემს მშრომელ მამას (სხვათა შორის, მაშინ მამების ძირითადი ნაწილი მშრომელები იყვნენ!) ენას მიუტანსო, უბრალოდ, დრო გახლდათ ისეთი, გაკვეთილების მოუმზადებლად სკოლაში მისვლა სირცხვილი იყო!..

აუ, რა მატყუარები ხართ ეს უფროსები! – უკვე მესმის ჩვენი პატარების სიცილი, – აბა, ამას ვინ დაგიჯერებთ – გაკვეთილების მოუმზადებლად სკოლაში მისვლა სირცხვილი იყო!

ეჰ, ჩემო პატარებო, მაშინ მართლაც ისეთი უცნაური დრო იყო, ქურდობაც და ბოზობაც კი სირცხვილად ითვლებოდა!..

\*\*\*

აქამდე გიგლას სიბეჯითეზე გაამბობდით – როგორც ჩანს, მაშინ ბავშვებს ზრდილობაც მოეთხოვებოდათ!

ნახეთ, რა თავაზიან უარს ეუბნება იგი მზეს!

**„არა, მზეო, მზე-ქალავ, ჯერ გავათავო სწავლა...“**

ჩვენმა ბეჯითმა გიგლამ მზეს ნათლად აუხსნა: ჯერ სწავლას გავათავებ, მერე მამას ვთხოვ – სათამაშოდ გამიშვასო!

როგორც ირკვევა, მაშინ ბავშვები მამებსაც პატივს სცემდნენ!

ასეთი გაბედული ჰიპოთეზის გამოთქმას, ცხადია, მე ვერ გავბედავდი, მზეს საგანგებოდ რომ არ გაესვა ხაზი! –

**„გამო, შეითამაშე, არვინ ეტყვის მამაშენს...“**

თქვენ, ჩემო პატარა მეგობრებო, რაკი იმ დროს არ შესწრებიხართ, გაკვირვებულნი მეტყვიით, – ვინ ეკითხება მამას ბალი ათი შაურიაო!

არა, რასაკვირველია, მე ახლანდელი შეგნებული მამები არა მყავს მხედველობაში!

ესენი წესიერი ხალხია!

ადრინდელი მამები იყვნენ ცოტა უხეშები! – წარმოგიდგენიათ, მაშინ მამები იმის უფლებასაც კი აძლევდნენ თავს, შვილებს რომ მსუბუქად განყრომოდნენ!

თუმცა, ახლა ამ საკითხზე მსჯელობა შორს წავიყვანს, ჩვენ კი იქ შევჩერდით, გიგლამ მზე რომ უარით გაისტუმრა – **„ჯერ გავათავო სწავლა“** –ო!

მაგრამ სწავლის მიზანშეუწონლობაზე სულ მალე გიგლას **„ჩიტმა დაუნყო მღერა“**!

თუმცა, რალა მღერა! – პირდაპირ უთხრა:

**„გიგლა, გეყოფა სწავლა“** –ო!

წესიერად გაზრდილმა ბავშვმა ჩიტსაც წესიერად უპასუხა:

**„არა, ჩიტო მზენვია, – მე ოსტატი მენვია, შენ თუ მორჩი მღერასა, მაშ, მეც მოვრჩე წერასა“.**

ეტყობა, გიგლას საგნის მასწავლებელიც კარგი ჰყოლია – „მე ოსტატი მენვია“ –ო! ე.ი. ბავშვის აზრით, მისი მასწავლებელი ოსტატს ტოლს არ უდებდა!

არ გასულა დიდი დრო და გიგლას ახლა ალუბალმა გადაუკრა სიტყვა!

მერედა, რა პირობით! ახლად შეთვალული ალუბალი საიდუმ-

ლოს შენახვის სრულ გარანტიას იძლეოდა!

**„გამო, შეითამაშე, არვინ ეტყვის მამაშენს“** –ო!

ბიჭმა ამ ცდუნებასაც გაუძლო, – გარეთ თავი არ გაუყვია!

ავტორიც მოწონებით აღნიშნავს:

**„გიგლა სწავლობს გაკვეთილს, არ უყურებს ბაღში ხილს...“**

ერთი სიტყვით, ცამ და მიწამ პირი შეიკრა, გიგლას გაკვეთილის სწავლაზე როგორმე ხელი ავაღებინოთო!

არაფერი გამოუვიდათ, ბავშვს ხელიდან წიგნი ვერ წაღლიტეს!

\*\*\*

გიგლამ ამის შემდეგაც ბევრი იმეცადინა, ყველა გაკვეთილი დაამზადა! ავტორიც სიამაყით იუნწყება:

**„მორჩა სწავლას ბალანა, სწავლამ ის არ დაღალა...“**

თქმა არ უნდა, თავად გიგლა ჩასაყლაპი ბალანაა! – მაგრამ ანგარიში იმასაც უნდა გაენიოს, რომ სასკოლო პროგრამები იმ დროს ზედმეტად გადატვირთული არ ყოფილა – სწავლა ბავშვს არ ღლიდა!

სხვათა შორის, სწავლით არც დღეს იღლებიან ბავშვები! – მაგრამ მათ, ესეც უნდა აღინიშნოს, სრულიად განსხვავებულ პირობებში უწევთ ცოდნის მიღება!

უფრო ზუსტად: ცოდნა რომ არ მიიღონ, დღეს ამისი ათასი საშუალება გააჩნიათ!

თუნდაც ის რად ღირს – ბავშვებს სკოლაში გაკვეთილების მოსმენა რომ აღარ ევალებათ! არც სახლში მიცემული დავალების მომზადებას თხოულობს მათგან ვინმე!

კარგია, ეს ფუნქციები თანდათან მშობლებზე რომ გადანაწილდა! – სკოლებში დედები დადიან, სახლებში მამები ამზადებენ გაკვეთილს!

ერთი სიტყვით, სასწავლო პროცესში, კარგა ხანია, ჩვენი ბავშვები აღარ მონაწილეობენ!

\*\*\*

ერთადერთი, ვისაც სწავლაზე ხელი ვერ ავაღებინეთ, ეს ისევ გიგლაა – ტიტინა!

სწავლობს და სწავლობს გიგლა! – მაგრამ რას სწავლობს, ამის

შესატყობად ვერავინ მოვიცალეთ!

ეჰ, ამის დრო კი არ არის ახლა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა! –

ყოველ სკოლაში თითო გიგლა რომ გამოგვეზარდა, ჩვენს ბედს ძალღი არ დაჰყეფდა!

არ ვაჭარბებ! –

რამდენი სკოლაც დღეს საქართველოშია, იმდენი თითო გიგლა რომ გვეყავდეს, ამ ჩვენს დაქცეულ ქვეყანას ხელახლა ავაშენებდით!..

დღეს კი რა ხდება? წამოწევა სკოლის ახლად ამწვანებულ მოლზე უკმაყოფილო ბავშვი და – საპროტესტო აქციაც მზადაა!

მოხსნიან დირექტორს, გაადებენ სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელს, გადააყენებენ განათლების განყოფილების გამგეს...

მერე ეს ბიჭი, ცოტა კიდევ რომ წამოიზრდება, ინსტიტუტის კიბეზეც „ადიელამოსხმული“ ჩამოჯდება და... სტუდენტი გახდება!

\*\*\*

იჯდეს და იკითხოს ამ გაგანია სიცხეში ტიტინა გიგლამ, მისი სწავლა თუ ეყოფა ამ ჩვენ გაჭირვებულ ქვეყანას, მაგასაც ვნახავ!.. არადა, მართლაც უცნაური ხალხი ვართ ქართველები!

ალბათ, ერთადერთი ამქვეყანაზე, იმაშიც რომ ფულს ვიხდით – შვილებმა არ ისწავლონ!

მისაღებ თუ გამოსაშვებ გამოცდებზე გამომცდელებს ფეხებში ვუფარდებით – ფული ჩვენ მოგვთხოვე, ოღონდ... ჩვენს შვილებს ცოდნას ნუ მოთხოვო!

თუ გაგვიმართლა და მიზანს მივალნიეთ, უსაშველოდ ვზეიმობთ!

მეტი სიხარული მართლა რა გინდა! – იმის უფლება ხელზე რომ გექნება ნაყიდი, შვილმა თავში ცოდნა არ შეუშვას!..

\*\*\*

როგორც ჩანს, მე ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე!

მას აქეთ, რაც ქართველმა ბავშვებმა სწავლაზე ხელი აიღეს, გიგლას საცოდაობა მკლავს!

ლამის არის ქვეყნის გასაგონად ახლაც ვიყვირო:

**„გიგლა, გეყოფა სწავლა!“** –

ჩემო პატარა მეგობარო, ამხელა ქვეყანაში მართო შენ რატომ უნდა ისწავლო!

ვერ ხედავ, ყველამ ჭკუა რომ ისწავლა და... აღარავინ სწავლობს?!

P.S.

*ძვირფასო თანამემამულენო!*

*ჭკუა ჩვენც – „გიგლა ტიტინას“ მშობლებმა, ანუ დღევანდელმა ამომრჩეველებმაც უნდა ვისწავლოთ!*

*ივანიშვილი გარკვევით გვეუბნება: თუ მარგველაშვილს პრეზიდენტად არ აირჩევთ, მეც დამემშვიდობეთო!*

*– არა, ბატონო ბიძინა! ოღონდ ნუ ნახვალთ და, ვინც თქვენ არ გინდათ, ისეთს არავის ავირჩევთ – თუნდაც ის რიგითი ფილოსოფოსი კი არა, პლატონის პირდაპირი შთამომავალიც იყოს!*

*რაც შეეხება თქვენს საპრეზიდენტო კანდიდატს, ბატონ მარგველაშვილს, ბავშვობაში ისიც, ალბათ, „გიგლა ტიტინასავით“ ბეჯითი ბიჭი იქნებოდა და სკოლასაც ოქროს მედალზე დაამთავრებდა!*

*ეს, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ, ამის მიუხედავად, ძვირფასო ბატონო ბიძინა, მისი ფილოსოფოსობა დანგრეული ქვეყნის ასაშენებლად საკმარის პირობად ვერ ჩაითვლება! ამიტომ, ვიდრე პრეზიდენტად გახდით, ცოტა საქმის კეთებაც რომ ასწავლოთ, ცუდი არ იქნება!*

*ხოლო, რასაც ახლა ვიტყვი, ცხადია, მარგველაშვილს საერთოდ არ ეხება, მაგრამ სიტყვაზე ვამბობ:*

*ბატონებო! იქნებ ამჯერად მაინც ჭკვიანი და სერიოზული კაცი ავირჩიოთ საქართველოს პრეზიდენტად, თორემ, თუ ისევ სულელი და „უფშვიტინე“ გვინდა ამ თანამდებობაზე, სააკაშვილს რატომ ვუშვებთ? – ის ჩვენი ცოდვით სავსე არც სხვაზე ნაკლები სულელია და არც სხვაზე ნაკლებ „უსტვენს“!..*

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირი აწყობს ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ჯანო ჯანელიძის ერთტომეულის პრეზენტაციას. წიგნის პრეზენტაცია შედგება 23 სექტემბერს, 17 საათზე, მწერალთა სახლში (მაჩაბლის ქ. №13).**

ეს ჯანო ჯანელიძის გარდაცვალების შემდეგ გამოცემული პირველი კრებულია.

თუმცა სიცოცხლეში მკითხველი განებივრებული ჰყავდა – პირველი ლექსი 1951 წელს გამოაქვეყნა „მგზნებარე კოლხიდელში“ (ფოთის საქალაქო გაზეთს ერქვა ასე) – ამის შემდეგ წერდა, სულ წერდა, სიცოცხლის ბოლო დღემდე. ორმოცამდე კრებული გამოსცა, ჯერ იყო „სიცარიელე ძველ სანგრებში“, მერე – „ოქროსფერი ქვაფენილები“, შემდეგ – „ელიანი გვრგვინები“, „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია“, „როცა ცრემლები მღერიან“...


მისი ლექსები ითარგმნა უკრაინულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. თავდაც თარგმნიდა – ქართულად ააჟღერა ტიუტჩევის, ბლოკის, პუშკინის შესანიშნავი სტრიქონები.

საზოგადო ასპარეზზეც ასევე ნაყოფიერად მუშაობდა. სხვადასხვა დროს იყო გაზეთების – „ოქროს სანმისის“ და „კოლხური დიადემის“ მთავარი რედაქტორი; საკმაოდ დიდხანს მსახურობდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრად.

ძნელია მის პოეზიაზე ახალი თქვა, ახალი დანერო, რადგან ის უკვე შეაფასა და შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. ამ კრებულში

შესულია სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები. „ვეცადეთ, თვალსაჩინო ყოფილიყო მკითხველისთვის ყველა იმპულსი, რომელიც უბიძგებდა პოეტს განსაკუთრებული ხმა და ემოცია ჩაექსოვა თავის ლექსებში“, – წერენ წიგნის რედაქტორები – ნუგზარ ანთელავა, მანონ ბულისკერია და შემდგენელი თათული რუხაძე.

თავშივე ვახსენეთ, ეს ჯანო ჯანელიძის გარდაცვალების შემდეგ გამოცემული მისი პირველი კრებულისა-თქო, რადგან დარწმუნებული ვარ, ამ დიდებულ პოეტს მუდამ მოიგონებენ და კიდევ ბევრჯერ მიაგებენ პატივს.











# ჩვენსად, ჩვენსად, ჩვენსად!

ადრეც მითქვამს და შემოდის ათასჯერ გავიმეორეო: ადამიანებს ბევრი რამ გვმართებს ერთმანეთისა. ადამიანობის ვალი სხვა არის – დიდია, ძნელია, მძიმეა მონომახის ქუდივით. ამ ვალის სიმძიმე და ფასი მეგობრებთან ურთიერთობაში უფრო ჩანს ხოლმე თვალსაჩინოდ.

ქართველებმა ვიცით მეგობრობის ყადრი. „ვეფხისტყაოსნის“ შვილებს არ გვესწავლება მოყვასისთვის თავდადება და „თავი ჭირსა არ დამრიდად“, მაგრამ პირადად ბევრჯერ გამკვირვებია ამ კაცის გასაოცარი ერთგულება ქართველებისა და საერთოდ საქართველოს მიმართ.

როდესაც საბჭოთა ჯარისკაცები ალესილი ნიჩბებითა და „სი-ეს“-ით გვხოცავდნენ, ის ჩვენ გვერდით იდგა.


როდესაც რუსული მასმედიიდან ლანძღვის ისტერია მოდიოდა, ის ჩვენს დასაცავად გამოდიოდა.

როდესაც რუსის ჯარი ცხინვალისა და აფხაზეთის მისატაცებლად შემოვიდა, ის ამბობდა: „მე ქართველი ვარ!“

იური როსტი – ჟურნალისტი, მწერალი, ფოტოხელოვანი, იშვიათი ადამიანი.

თუმცა ამჯერად სულ სხვა რამეზეა საუბარი. იურა უბრალოდ პერსონაჟია.

მოკლედ, თემა: მრავალსახეობა საბჭოთა აბსურდისა; მთავარი სიტყვები: ხუმრობა, სასწაული, ფოტო.



გიორგი ხარაბაძე

## „ისტორია“ №219

თავად ამბავი შეიძლება არც ისე საინტერესოდ მოგჩვენოთ, მაგრამ ამ ფოტოებმა და განსაკუთრებით ერთმა, რომელმაც მსოფლიოს თითქმის ყველა საგამოფენო დარბაზი მოიარა, დამაფიქრა: იქნებ ღირდეს მათი დაბადებისა და წარმოშობის ადგილის გახსენება. სამოცდაათიან წლებში საბჭოეთში სასტუმროში მოხვედრა რა იყო, იმე-დია, გახსოვთ. ჯოჯოხეთი. შეუძლებელი, ყოვლად შეუძლებელი, ნაცნობისა და ქრთამის გარეშე. ქალის შეყვანაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. დედა რომ ყოფილიყო, მშობელი დედა, იმას არ შეგაყვანიებდნენ საშვისა და პასპორტის გარეშე.

ამ სასტუმროთა შორის იყო კიდევ ელიტარული, „ინტურისტის“ სასტუმროები, რომელთა კარებს ვერც მიუახლოვდებოდით. შევიცარი იდგა და, დედიშენის შვილი იყავი, საშვისა ან ფულის გარეშე გაკარებოდი.

იყო კიდევ რამდენიმე სასტუმრო, სადაც ღამის გათევა მხოლოდ ოცნებაში შეგეძლო. მათ ავანგარდში იდგა „ასტორია“, ლენინგრადში.

აუცილებელია ჩემი და იურას ჩაცმულობის აღწერა.

მე რის ვაივაგლახით შეძენილი მაგარი „დუბლიონკა“ მაცვია და, რაც მთავარია, მასურავს მონომახის ქუდი, რომელიც ბადრი კობახიძემ ჩამოგვითანა მე და ეროსის აზიის რომელიღაც ქვეყნიდან. ერთი სიტყვით, რომ შემომხედავ, მეფე შეიძლება არა, მაგრამ კაი „მასტი“ ვარ.

ჩვენი იურა!

სათვალეებით, ნაქსოვი (ჯოჯინგის დროს რომ ახურავთ) ყურებამდე ჩამოფხატული ქუდი და „ვატნიკი“ – ჩვენ რომ „ტელეგრაფიკას“ ვეძახით!

ზამთარია. 23 დეკემბერი. დილის 12 საათი იქნება.

„ასტორიის“ წინ ისე გავიარეთ... რა? გავლაც არ შეიძლება, ბატონო? მოპირდაპირე მხარეს ისააკის ტაძარი დგას და იმას ვუყურებთ, გენაცვალე, რა, არც ეს შეიძლება?

ქუჩა ცარიელია, არც მომსვლელი ჩანს, არც წამსვლელი და არც ის შევიცარი.

– მოდი გავრისკოთ, – ვუთხარი იურას.

– აზრი არ აქვს. გამოგვყრიან, – მი პასუხა.

– ვნახოთ.

– ვნახოთ, კი ბატონო.

შევალე უზარმაზარი კარი და აგერ არ დგას შევიცარი! კოსტიუმში ანუ უნიფორმაში გამონყობილი, დაიბნა... დაიბნა, რომ დამინახა, ამას მივხვდი და უფრო მაგრა გავიჭიმე, გავიჭიმე და გზა განვაგრძე. იურა ჩემს „პახმელიაზე“ გამოატარეს, არც მიუქცევიათ ყურადღება.

მართლა ღამაში ყოფილა იქაურობა. უზარმაზარი, ძველი ქალები, ხა-

ლიჩები, ავეჯი. ორივენი დიდ, მძიმე სავარძლებში ჩავეშვით. მართლა კარგია კარგი ცხოვრება. მაგრამ ახლა რა ვქნათ? ასე ვისხდით გაყურსულები? ვისხდით, ვისხდით, ველარ გავძელი და დავიძარი ადმინისტრატორისაკენ. მოაჯირს იქით მშვენიერი რუსის გოგონა თუ ნაგოგონარი ზის, თავი აქვს ჩარგული ქალაქებში. ვერც მამჩნევს. იურა მომიახლოვდა. უხმოდ მკლავზე მომქაჩა, წავედითო.

– ზღრავსტუინე – წარმოვთქვი მე. ნული, იცი, რა არი? ნული ყურადღება მოაჯირის იქიდან.

– ზღრავსტუინე-მეთქი. გავიმეორე რისით. ახლა კი ამომხედა ზარმაცად, კარგად შეგვათვალა, რა თვალზე შეგვხედა, არ ვიცი და: რა გინდათო, ნომერი-მეთქი.

ხუმრობა აკრძალული ხომ არ არის? ერთი კი გაყურდა... იყურა, იყურა და, ჩვენ რომ გვგონია მილიცია და „ვონ ატსიუდა“, კი არა...

და... რომელიო. როგორ თუ რომელი-თქო, გავიკვირვებ ჩვენ.

– ჰო, ჰო, რომელი, „გალუბოი“ ილი „როზოვიო“. მაშინ, „გალუბოი“ პედერასტს არ ნიშნავდა!

– „გალუბოი“-თქო – ნავილულულულეთ ორივემ.

მოტრიალდა ეს კაი დედამამიშვილი, აიღო გასაღები, „პრაშუ“-ო და აუყვა კიბეებს. წინ ეს ანგელოზი, უკან – მე და იურა. გული, როგორც კოსმონავტებს, ისე გვიცემდა, თუმცა გაგარინს, ამბობენ, სულ არ უცემდაო გაფრენის წინ...

მოკლედ, ავედით მეორე სართულზე. მიადგა დიდ ღამაზე კარს, მიურგო გასაღები, გადაატრიალა, გააღო და, ისევ „პრაშუო“...

მაშინ კი გავიფიქრე, ეს ან გიჟია ან გვაჭყრინებს-მეთქი.

შევედით, მარა რას შეხვალ? მთელი სამი ოთახი. სასადილო ოთახი ცისფერი აბრეშუმის „შპალერიანი“ კედლებით (იმიტომ ერქვა „გალუბოი“), ძველი ავეჯი, ანტიკვარული სერვიზი, ბროლი „გორკაში“. კედლებზე ორიგინალები, იქით საძინებელი და აქეთ – კაბინეტს რომ იტყვიან, ორი ტუალეტი, ორი აბაზანა... დედა, რა ვქნა?

– მოენწყეთო. ახლავე, ახლავე, ერთ-დროულად ვიყვირეთ ორივემ.

– ფასი იცითო.

აუ... მგონი ვიღუპებით... – არა-მეთქი.

– დღე-ღამეში – 9 მანეთიო!

უფრო კარგად რომ გაგაგებინო მაშინდელი 9 მანეთი, არაოფიციალური კურსით 3\$-ს უდრიდა და ოფიციალური – 28\$-ს.

რამდენი ხანი დარჩებითო?

– მთელი ცხოვრება-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ იურამ დამასწრო და: – ერთი კვირითო.

– მაშინ მოენწყეთ და დაისვენეთო. კარი გაიხურა და წავიდა.

არა, ვინც ჩემი თაობისა ხართ, ხომ არ გჯერათ? ასე ვიყავით ჩვენც, მაგრამ აგერ არ არის ფოტოგრაფიები?!

დავრჩით მარტო! ახლა იმაში გვინდა დარწმუნება, რომ ეს სინამდვილეა, რომ ეს გოგონა, თუ ნაგოგონარი არ გვაბითურებს...

ვსხედვართ. ვუცდითო.

ვის? არ ვიცი... რალაცას... ვილაცას...

მე მოვიფიქრე: – რამე შევუკვეთოთ, აბა, თუ მოგვემსახურებიან. მოდი, შარვლები დავაუთოვებინოთ მეთქი, მაგრამ იურას შარვალს რომ შევხედე, გადავიფიქრე... საუზმე... საუზმე შეუკვეთე-მეთქი.

დარეკა... უპასუხეს... „219-დან განუხებთ... თუ შეიძლება საუზმე ნომერში... დიას... არა, ორნი ვართ... სამი სოსისი, შავი პური და ერთი ლიმონათი“ – საერთოდ ასეთი შეკვეთები უყვარს იურას.

ვსხედვართ. ვუცდითო.

ათ წუთში ფრთხილი კაკუნი და... შემობზრილდა ორი ოფიციალტი ფრაკებში (დილას ფრაკიანი კაცი გინახავთ?), მეღხიროსა და ვერცხლის „სერვიროვკაში“, მოასისინეს ცხლად სოსისები, პური, მდოგვი თავის გემოვნებით დაუმატებიათ, და ერთი ბოთლი ლიმონათი. ატყდა ერთი ალიაქოთი... სუფრის გადაფარება, დანაჩანგალი, მაღალი ჭიქები და, რა ვიცი, „ნათლიმა-მა“ რომ გინახავთ, ისე...

მიდიან.

– ფული?

– როგორ გეკადრებათ... აქ არა ხართ, ნასვლის წინ ერთად, ბატონებო!

იურას კი ადევს მკვდრისფერი, მაგრამ არც მე ვარ, მგონი, ჯანზე. მიუჩვევლობამ იცის, თორემ მერე... გაშინაურდები... შეიძლება ისე მოიქცე, რომ გამოგასახლონ კიდევ, მაგრამ მანამდე ჯერ დიდი დროა... ბარდნის გარეთ... დაქცეულა ქვეყანა, აქედან ნუ გამომიყვან და, თუ გინდა, წელამდე დაუდვია თოვლი. აქეთა ფანჯრიდან ისააკის ტაძარი ჩანს, მეორედან – „ოპკომის“ შენობა, რომლის ფასადსაც დიდი ელექტროსაათი ამშვენებს, თითქოს სპეციალურად შენთვის, რომ არ შენუხდე. დრო თუ გაინტერესებს, მაჯაზე კი არ დაიხედავ, თუ საათი გაქვს და, თუ არა გაქვს, რადიოს ან ტელევიზორს კი არ ჩართავ დროის გასაგებად... აგერ... ფარდა... ფარდას განეც და 13:10, აგაშენათ ღმერთმა!!!

დავურეკეთ,ვისაც ვიცნობდით და არ ვიცნობდით,დავატიყუეთ ყველა. თქვენ რას იზამდით? რუსეთში მშვენიერი წესია. აბა, საქართველოში დაპატიჟებ კაცს... გაასინჯებ სამ-ოთხნაირ ღვინოს, ამოარჩევინებ, სადღეგრძელოს ეტყვი, აქებ, ადიდებ... წავა მაინც უკმაყოფილო და გაგჭორავს. აქ, რუსეთში დაპატიჟებ, მოვა თავისი არყით, დალევს. არც სადღეგრძელოს გეტყვის, არც არაფერს, არ შეგანუ-

ხებს. წავა. ასე არ ჯობია? ჰოდა, სანამ გავძელით გავძელით და მერე... ერთ დღილით „პახმელიაზე“ გავიღვიძეთ და მე ვუთხარი:

– აღარ მინდა ამ მუზეუმში ცხოვრება, წამო, შინ დავბრუნდეთ-მეთქი.

– შენ აგაშენა ღმერთმა, მეც გულისრევის შეგრძნება მაქვსო ამ დეკორაციაში, მაგრამ სანამ წავალთ, მოდი, ერთი ფოტო მაინც გადავიღოთ სამახსოვროდო...

გადასაღებად გავემზადე, მხარი ვიცვალე ლოგინში.

– არაო... ხავერდის კოსტიუმი რომ გაქვს, ის ჩაიცვიო.

დამეზარა, მაგრამ უარი ვერ ვუთხარი. ჩავიცვი. ამასობაში. მარმარილოს „კონსოლი“, რომელზედაც რალაც ძველბური ლარნაკი იდგა, გავთავისუფლებინა...

– ამას დაეყრდენიო. დავეყრდენი.

– ფეხსაცმელები გაიხადე, თორემ ამ გარემოში და მაგ ხავერდის კოსტიუმში იდიოტს გავხარო.

რად მინდოდა იდიოტის როლში ყოფნა და გავიხადე.. მილო და მილო... მერე საძინებელში გავედითო.

– ქუდი დაიხურე და დაწევიო...

– ასე არ ვემგვანები იდიოტს-მეთქი?

– არაფერი უპასუხია. ხომ ხედავთ... ზუსტად ასე მოვიქეციო...

მერე მოვიხურე ჩემი „დუბლიონკა“, იმან თავისი „ტელეგრაფიკა“. ის მოსკოვში გაფრინდა, მე – თბილისში.

შენ, ალბათ, ის გაინტერესებს, რატომ გამოგვასახლეს? არა? იმას ვერ მოგიყვებით! ■



# ჯემალ ჯაყელი-85

## კაცო სანთიანო და გზასანთლიანო!



ცნობილ ქართველ მწერალს **ჯემალ ჯაყელს** დაბადების 85-ე წელი შეუსრულდა.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია ულოცავს ძვირფას მეგობარს ამ ღირსეულ თარიღს და უსურვებს ჯანმრთელობასა და შემოქმედებით ნარმატებებს.

კაცთაგან მრავალს უფიქრია ღმერთის არსებობა-არარსებობაზე, იმაზეც, თუ როგორაა მოწყობილი მთელი ეს გრანდიოზული სამყარო. ამგვარ სუბსტანციებზე იქნებ არც იფიქროს კაცმა, მაგრამ უმთავრესია, იფიქროს იმაზე, როგორ მოიქცეს იგი მისთვის ბოძებულ სიცოცხლეში...

მრავალმა ჩვენგანმა იქნებ ვისწავლოთ და შევიძლოთ ჰაერში ფრენა, მაგრამ დიოგენეს ან სოკრატესავით ველარ ვიცხოვროთ...

თქვენ ეს შეძელით, ბატონო ჯემალ!..

სიძულვილის უღრანში სიყვარულით მიიკვლევდით გზას, რადგან გესმოდათ, რომ სიყვარული უფალი იყო ოდენ, – უზენაესი კანონზომიერება; რომ არავის კანონზომიერებას მორჩილებდა იგი; რომ მხოლოდ მას ექვემდებარებოდა ყოველი...

ძლიერი იყავით მუდამ, რადგან სხვათა თვალთ უყურებდით საკუთარ თავს,

საკუთარი მე-დან გასული უმზერდით საკუთარ მე-ს... იცოდით, ვინც იყავით, არც ლომად, არც ვეფხვად, არც მგლად და ტურად მოგქონდათ თავი. კაცი იყავით და ყველა შესაძლოში კაცადვე რჩებოდით...

ნუთისოფელი მრავალთ პირმოთენედ მიუბოძებდა მისაბოძებელს – დიდებას, სახელს, სახრავს, ეპოლეტებს, ჩინ-მედლებს, პრემიებს, რათა გაემრუდებინა სული კაცისა...

თქვენზე ამგვარს ვერავინ იტყვის, რამეთუ იცოდით, სული უფლის სასუფეველში შესასვლელი კარიბჭის გასაღები რომ იყო და გამრუდებული გასაღებით ვერასოდეს გაიღებოდა იგი...

გილოცავთ დაბადების 85-ე წლის-თავს! კიდევ დიდხანს გევლოთ ამ სამზე-ოზე, კაცო სანთიანო და გზასანთლიანო!..

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია**

### იუბილარი

ჯემალ ჯაყელი ნეკერჩხალივით კაცია, აღნაგი და ნელ-გამართული. ის ნელინადის ყველა დროში შუქსა და ნათელს ერთნაირად ასხივებს. მისი გენეტიკური კოდი, იმ ხის ფესვებით, ქართული მიწის ნიალით იკვებება საუკუნეების განმავლობაში.

მე დიდხანს მივდიოდი მისკენ. ფრიდონ ხალვაში, ზურაბ გორგილაძე, ჯემალ ჯაყელი – ჩემი უფროსი ძმები ეგონათ ჩემს ახლობლებს. ამ სიყვარულის თავი და თავი ჩვენი ლამაზი ურთიერთობა იყო.

პოეტურ საღამოებს, გულიან შეხვედრებს თავისი ხიბლი და თილისმა ჰქონდა სოხუმში და ბათუმში, ხოლო წიგნის გამოცემა დღესასწაულს ჰგავდა.

მას ლხინიც ბევრი ჰქონია და სევდაც... ის იმ გრძნეული ჩიტივით ცხოვრობს, ამირან არაბული რომ ახსენებს ერთგან:

„დაღამდა, ჩიტი დაღონდა,  
გათენდა, გაიხარაო.“

ჯემალ ჯაყელი 85 წლისაა, ის ნამდვილი იუბილარია. მეც იმ ჩიტივით მივიჩქარი აჭარაში თამაზ წიგნივაძესა და ელიზბარ ჯაველიძესთან ერთად, რათა დაბადების დღე მივულოცოთ დიდი ჭაბუა ამირეჯიბის ნათლულს, სრულიად საქართველოს ღირსეულ პოეტსა და მამულიშვილს – ბატონ ჯემალ ჯაყელს.

**გენო კალანდია**

### მეფეო დავით

მეფეო რანთა, აბხაზთა,  
კახთა,  
მთლად საქართველოს  
მეფეო დავით!  
ნაოცნებარი მრავალი წახდა  
დროსთან პირისპირ  
კამათით, დავით.  
დავდივართ შენი საფლავის  
გულზე,  
რომ გაგრძნობინოთ  
სიცოცხლე ქართველის,  
შორსგამხედავი თვალებით  
ვუმზერო  
მომავლის ხმაღს და  
მომავლის მანდიღს.  
მოდის თაობა, მოდის და  
მოდის,  
ვაი, რომ ზოგი – ბინძური ფეხით,  
მხოლოდ ქმედება!..  
ცარიელ ლოდინს  
არ შეუქმნია ღონე და  
ხერხი!  
მთლად საქართველოს  
მეფეო დავით,  
მეფეო რანთა, აბხაზთა,  
კახთა,  
უბედურების თავი და თავი  
ესაა, დიდი ერთობა წახდა,  
რათი დარჩების ბეჩავი  
ხვალი,  
თესლი სიმართლის საით  
ჩამარხეს?  
ადექ, მოგვაპყარ პატრონის  
თვალი,  
თორემ დევები მოვლენ  
ჩაბალხეთს!..

### მეფე თამარი

ოცნებაში ცისარტყელას ქამარი  
მომხევევა, თანაც ყოველ ცისმარე.  
ტრაპიზონი,  
კომნენოსი,  
თამარი  
მესიზმრა და... დაილოცოს სიზმარი!  
მაგრამ მაინც სხვა რამ არის მთავარი,  
რაიც ეშხით დაჩოქილი ხაფიზობს –  
თბილისიდან არ გასულა თამარი,  
მაგრამ შექმნა იმპერია ტრაპიზონს.  
თამარ!  
თამარ!  
აქ ვიყავი, ვიარე,  
შენს ნათელში ფეთქავს გული ეული.  
იმპერია!  
მარტო გული კი არა,  
იმპერია, შენგან გამორჩეული!  
არ გამცვდარა იმ დიდების ჯავარი,  
არ წამხდარა ჯერაც მისი იერი.  
თბილისიდან არ გასულა თამარი  
და იქ შექმნა იმპერია ძლიერი!

### გონგი

გაისმა გონგი... რაღაცა ხდება  
სულში ქიმერის სიბნელე წვეთავს.  
დაარტყეს გონგი...  
რაღაცა ხდება...  
რა არის ანდა რა ხდება ნეტავ?  
და ისევ... გონგი!  
ალვების რიგი  
თრთის თავის ბედზე და თავის რიგზე.  
იქნება სადმე ზანზარებს რინგი  
და იქნებ ვინმე ეცემა რინგზე!

იქნება ეჭვი ვნებას ამდორებს,  
იქნება შიში ეჭვებს აება,  
იქნებ შემოჰყავთ ტორეადორებს  
ცივი სიკვდილის ჭინკა ღვთაება.  
იქნებ იწყება უფრო ფარცავი  
და არრა გვესმის, ჩვენს თავს  
რა ხდება!  
და, რასაც ვეჭვობთ, იგი საძაგი  
ცუდ სიზმარივით გაგვიცხადდება.  
ფრთხილად!  
ისევე დაარტყეს გონგი...  
რაი არს დარი დაღათუ ავდრობს.  
მალემშველელი წმინდა გიორგი  
ზის და გატეხილ სასწორზე  
დარდობს.  
დაარტყეს გონგი!  
თითქოსდა სხაპი  
სძგერს, რომ არწივი მიაბას  
მჭიდროდ.  
იქნებ აბორგად იგი ვეშაპი,  
რომელზეც ჩემი იმედი მკვიდრობს.  
უნეტარესი ზეცა და მთები  
იქნებ ირყევა და ვერა ვხედავ.  
ახალი ჯვარი შეჰკარით თმებით,  
დედაო ღვთისაგ და ქართველის  
დედავ!  
შეჰკარით ჯვარი ახალი ვაზის,  
ყველაზე ახალ იმედს რომ მომკის.  
ვაი, რომ მხარზე არწივი მაზის  
და მაინც მზარავს გუგუნე გონგის...  
გუგუნებს,  
ისევე გუგუნებს გონგი,  
მინათებს, თანაც მიბოლებს კვარი.  
მალემშველელი წმინდა გიორგი,  
მთლად საქართველოს დასწერე  
ჯვარი!

### აჭარას

სული ყელში ამოგგვარეს  
„ჩოლოქით“ და „რჯულითა“,  
შენ კი მუდამ ქართულ ზარებს  
რეკედი გულის გულითა.  
შენს დიდ სათქმელს სულ ამბობდი  
სისუფთავე-მირონულს.  
სულ აქებდი, სულ ამკობდი  
ქართულს, არა პიროვნულს.  
საზოგადოს, ლამაზ ქართულს,  
წინაპართა სულისას.  
ანთებდი და რეკედი სანთურს,  
რომ გჩვეოდა – სულ ისე!  
მაინც,  
მაინც  
გულში ისარს  
დამცინავად გარჭობდნენ.  
იცოდი, რომ შენი ხვედრით  
ქილიკობდნენ, ვაჭრობდნენ.  
სული ყელში ამოგგვარეს  
წარსულით და „რჯულითა“,  
შენ კი მუდამ ქართულ ზარებს  
რეკედი გულის გულითა.

●  
დავდივარ,  
ვეძებ,  
ისევე დავდივარ  
და ისევე ვეძებ გატეხილ ქნართა,  
იმ ხეთა ფესვებს, ოდეს ნამდვილად  
რომ შეედავენ ქარაშოტ ქართა,  
რაღაც დაიცვეს, რაღაც დაჰკარგეს,  
მაინც დაიცვეს სიცოცხლის ფასად.  
და ეს არათუ ყალბით დაჰქარგეს –  
ჟამთა აღმწერლებს არც უთქვამთ  
არსად.

დავდივარ,  
ვეძებ თვალებით მკაცრით,  
თვალებით ბასრით, ღმერთის  
თვალებით,  
არაფერს დავთმობ, არაფერს  
გავცვლი  
და არც არასდროს შემებრალები,  
თუკი იცი და არ მეუბნები,  
თუკი გტკივა და ტკივილებს მაღავ,  
თუკი გიყვარს და, როგორც  
ღრუბლები,  
უსიყვარულოდ დადიხარ ცალად.  
დავდივარ,  
ვეძებ თვალებით მკაცრით,  
თვალებით ბასრით, ღმერთის  
თვალებით,  
ხომ არსად ჩაქრა ღიმილი კაცის  
და მისი სულის ნალვერდალები.  
ხომ არსად გასცრა სახურავს ნამი,  
გოდებას კვნესა ხომ არსად ერთვის,  
ხომ არ გამოტყდა ისეთი რამე.  
რაიც მინდოდა შენთვის და  
შენთვის.  
და ასე ყოფა მოკლე და გრძელი  
არის ძიება, კარგვა და პოვნა.  
ბოლოს ყოველი რჩება სიძველეს,  
როგორც უცრემლოდ წარსულთა  
ხსოვნა.





# გეგა ოღიშელი

## ალინა ცია

მალე შემოდგომა, როგორც ღამის მატარებელი, ჩამოდგება და სულის რელსებს აახმაურებს. ჩვენ ჩვენსავე ანქსიოგენურ პროცესიაზე მოგვკლავენ. ღამეს არ ექნება ბეტონის ან ხის ბარიკადები...

მანამდე:

– მე შევიშალე და ახლა, როცა ქუჩაში დამაქვს მანვანის ქილები, გეუბნები, რომ: – „პატარა არის დედამინა სიყვარულისთვის, მაგრამ ვახერხებ“.

მანამდე შენ შეიშალე, გაიძახოდი, რომ შემოდგომის რთული დღეებიდან შემორჩი. რომ ლეგენდებმა შემოგინახა. შენ არ გახსოვდა შენი სახელი და ვინაობა... იცოდი, რომ შემოდგომის რთული დღეებიდან შემორჩი...

სულ თავიდან კი, ერთ უწყინარ ქალაქში დავიბადეთ.. შენ ქერა თმები გქონდა და ბორენა გერქვა...

## გაზაფხულის პანორამა

ორი ღამეა დარჩენილი, მერე ალდგომა..  
ოცდათორმეტი (ტრადიციით) კვერცი შევლევ, ვცდილობ, მანძილი შევამოკლო ღმერთთან, ნახტომი რომ გამოვიდეს. დაზუსტებით: – მანძილს შეხების ვამოკლებ, ვცდილობ, ვიძაბები, ვძვრები კანიდან, მზეს არც თუ ისე იშვიათად (უკვე ვერჩევვი), გავურბივარ და ეგოისტი, სიტბოს ვარიდებ, რადგან ერთხელაც ვერ მიხვდე და შემომეშველო.  
და მალე, როცა უსათუოდ, „სოფლის სამღურავს

მეც გკითხავ: – თოვლი სადღა არის შარშანწინდელი“, შენ მეტყვი: – თოვლი ზამთრისთვის გვაქვს

გადანახული, გაგელიმება... სარკესავით გაინმინდები.

ორი ღამეა დარჩენილი, მერე შეხებაც, სრულად დაპყრობას ემსგავსება (ხორცი-მერქანი) და გული, როგორც საქართველო, მესამედდება, მიგვაძინებენ, გაგვჭრიან და გადაგვქეპავენ.

ჩვენთან ხეები, შენ მეტყვი, რომ ჰვანან ტიფოზებს და გაზაფხულის პანორამა გეუცხოება, ვერ მიაგენით რახანია ძილის იმ პოზას, როცა სიზმრებში სახე არ აქვს უფალს ცხოველის. პო, რახანია შევიშალე, მინა დამძიმდა და ლექსის წერას თვე თუ არა, კვირა ვუნდები,

შენ კი ერთხელაც მოგებზრდება, წიგნებს გაზიდავ სახლიდან, მერე შეტევები გაგირთულდება ასთმის. ღამესაც ეურჩები, ღამეს ტბის პირას, როცა მიზნამდე დარჩენილი გქონდა ნახტომი, შეგენანება ამ აპრილსაც რომ ვერ ვიტყვი...

ორი ღამეა დარჩენილი, მერე ალდგომა..

## ფოთლეპი, კასიმე

ეს შენი ქუჩაა, კასიმე, პალმები აგვისტოს ტირიან, მოხუცი ქალივით ნაზია ბუნება – სექტემბრის პირია. გაიძრეს სიმწვანე ხეებმა, ფოთლები ჩაიცვას შილიფად. დარდისგან დამიჭყნა ხელები, წერაც ვერაფერი შვილია.

ეს შენი სახლია, კასიმე, აგვისტო, საღამო, მთვარე და დამთავრდა ია და კესანე, ხმელ ფოთლებს დაგინყო კარებთან. მერე კი ჩამოთოვს ღარიბად, დანინკლავს ხეებს და სახურავს, სკოლაში ნასვლის წინ კარები დატოვე ღიად, არ დახურო.

ხმელ ფოთლებს მოგიტან, კასიმე.

# თმარ ფაღიანი

## ავტოპორტრეტი

მიდი-მოვიდვარ ალმაც და დალმაც, თუმც მეშინია ჩემი ტიტინის და ხშირად, როცა მახარებს რაღაც, გულის სიღრმეში ღმერთი იცინის. დავეძებ, ვსუნთქავ, ვცხოვრობ ვილაცით, ვერ გამიგია, სად ვარ და რა ვარ და, როგორც კაცი ჭრელი ნილაბით, საკუთარ სახეს ვაჩენ და ვჩქმალავ. ვეფოფინები გალელ დღეთა, ჩრდილებს და ფიქრებს, როგორც სამარხებს, ხშირად მატყუებს სიყალბე ფერთა და ყველაფერზე ისე ვხარხარებ, რომ სულერთია თვალის გახელა და ისმის მხოლოდ მოთქმა-გოდება, ვინ გამიჩინა დარდი იმხელა, რომ თვითონ დარდიც შეგეცოდება?!

მიდი, მოვიდვარ ალმაც და დალმაც, თუმც მეშინია ჩემი ტიტინის და, ხშირად, როცა მახარებს რაღაც, გულის სიღრმეში ღმერთი იცინის.

## გრემი, გელათი, ქურმუხი

გრემი, გელათი, ქურმუხი, ჩემო სამშობლო, ნუ სწუხარ, დადუმებულხართ, ზარებო, მტერთათვის შესაზარებო. გრემი, გელათი, იშხანი, ჩემი აფხაზი მორდუ და ცერზე შემდგარი ჭიშკარი, ჭინკით დამფრთხალი ქორბუდა, მთაში რომ ვეღარ გაჩერდა და შინისაკენ მობრუნდა. გრემი, გელათი, ქურმუხი, ჩემო სამშობლო, ნუ წუხხარ, ჩემო სამშობლო, ნუ წუხხარ!

## ლომეპი გალიაში

ღია გალია! სადაც მხოლოდ მხეცის სუნია და წარმართივით შემოგბლავის ბოკვერი ლომის, აქ, გალიაში, დამწყვედული მთელი დუნია მომლოდინეა შიშის და ომის..!

და უცაბედად ჩამორთმეულ თავისუფლებას, როგორც მდინარეს, მოაკლდება თევზი ნითელი, შენ ვეღარ შეძლებ მონახულებას, რაც იყო შენი და რაც პირველად გარგუნა ღმერთმა და გისახსოვრა, მაგრამ ეს სიტყვა დაიმახსოვრე – შენ არ გიშველის ტაკიმასხრობა და ფარდის უკან დამწყვედული ზეცის იერი ნუ შეგაშინებს, თუ არსებობ, თუ კი ხმინაობ!

და, ვიდრე სხვის სულს ათვალეერებ, ჯობია, შენი ათვალეერო და, როგორც ქუჩის ბავშვი მშიერი, გაჩნდება განცდა შიშისმიერი. სული შიშველი ვეღარ გიშველის, ვერც ტყვეობაში ვეღარ ივარგებს და თუნდაც ცაზე მთვარემ გიპრისამ

ადრე თუ გვიან ამოანათოს თავისუფლება, აჩეხილი ვაზის ტოტივით, ძლივს მოიშუშებს ტანზე იარებს, გაჩნდება ხალხში, როგორც მოტივი

და შეიყვარებს ადამიანებს. ღია გალია! სადაც მხოლოდ მხეცის სუნია და წარმართივით შემოგბლავის ბოკვერი ლომის, აქ, გალიაში, დამწყვედული მთელი დუნია მომლოდინეა შიშის და ომის..!

## მალენა...

მალენა, შენი თმები ღელავენ, ქალაქს აუდის თოვლის ალმური და დაგაქვს ტანი, ისე ქალური, რომ სარკმლებიდან ბრმებიც გხედავენ.

ჭიაკოკონობს მთვარე თითბერის, ციდან ჩამორბის თოვლი ლტოლვლი და შენი თხელი, წვრილი თითების გემო დაჰყვება, თანდაყოლილი.

მალენა, შენი თმები ღელავენ, ქალაქს აუდის თოვლის ალმური და დაგაქვს ტანი, ისე ქალური, რომ სარკმლებიდან ბრმებიც გხედავენ.

## მამას

იქით წავიდეთ, მამაჩემო, სადაც მთებია და მინდვრებივით თვალსაცერა ვნახოთ ნისლები, თითქოს კლდეები დამტვრეული ჯიხვის რქებია, მზეში ჯავრისგან ნაადრევად ალესილები.

მოიკვალება, მოდის ენგური, ენგური – მთების საკალმახეთი, შენ მხრებით დაგაქვს მთელი სვანეთი და ბედისწერას მაინც ემდური.

იქით წავიდეთ, მამაჩემო, სადაც მთებია და მინდვრებივით თვალსაცერა ვნახოთ ნისლები, თითქოს კლდეები დამტვრეული ჯიხვის რქებია, მზეში ჯავრისგან ნაადრევად ალესილები.



„თქვენ ჩემი ცუდად გესმით, თქვენ იდიოტი ხართ“

ჟაკ დერაიდა

\*\*\*

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მემორენდუმში წარმოდგენილია, რომ ვთქვათ, „საკმაოდ სრულყოფილი“ უტყვის და უვიციის, ვინმე მურმანის, თანაც თავიდაც ისე წერილი დაიბეჭდა, რომელშიც ის ჩემს ლექსებს (მათ შორის – გამოუქვეყნებულ ნაწილებს) ღიბნიღიანი მკაცრად განაწმინდა...


# მურმან, არაფრის უშირჭო!

(ციკლიდან: ახალი სალათა ფლაპიაშიაბისთვის)

ადგილებში „გ. გოგიაშვილის“ სახელი-თაც იცნობენ, ლიტერატურულ თანამეცხედრე თავიდაცობით ერთად პირდაპირ შემომძვრომიან facebook-ის ფოტოარქივში და ხსენებული პასკვილისთვის დაურთავს იქიდან გამოტანილი სურათი, რომელზეც, ენა მაქვს გამოყოფილი.



ლექსო დორეული



მურმან თავიშვილი

ალბერტ აინშტაინი

არა, არა... ნამითაც არ გამოვიდა თავში ის თავხედი ფიქრი, რომ მურმანს დაძვირებულნი, მოლობითი რიცხვის (გარემო პირობებიდან გამომდინარე) „მყავალა და რეზო“ იყო! პასკვილიანტი კარგი ნაცნობივით კი ირწმუნება: „ლექსო დორეული პრემიებდა და ჯილდოებს [მთხოვს] ჯიუტად, თავდაჯერებულად, გაბედულად, ზოგჯერ თავხედურადაც კი“-ო, მიუხედავად იმისა, რომ ამის ვერავითარ მტკიცებულებას ვერ წარმოადგენს და ამიტომ არც უცდია. ეგეც რომ არა, კაცმა რომ თქვას, ადამიანს, რომლის არსებობის ფაქტისთვის ყურიც არ მომიკრავს, რამეს როგორ მოვთხოვდი?

მიქარავეთ ერთპირიანი ზმნა. აქ ირბი რიბი რიბი არ არსებობს და „ჰ“ არაფრად სჭირდება; თქვენ მშობლიური სიტყვა არ იცით. მაშ, არ იცით, რასა სჩადიო!“ – წერს მურმანს და, კაცმა რომ თქვას, მართლა კი მიჰქარავს, მაგრამ რადგან ასე ურჩევნიად და მოუხერხებლად, კი ბატონო, დაფვევით მის ნებას და ჩავასწოროთ: ამხანაგო თავიშვილო, მაგრამ მიქარავ! კი იფიქრებს, ლიტერატურული კონკურსი, რომელზეც ის წერს თითქმის ერთი წლის წინ ჩატარდა, აქამდე ხმა არ ამოუღია და მაინც და მაინც მწერალთა კავშირთან ამ გაგანია ომის პერიოდში რომ მოუნდა ლექსი დორეულის გალანძღვა, ცოტა სასიყვარლო ხომ არ არისო... მაგრამ მე მაინც არ მინდა ამის დაჯერება!

ნიზმის იდეებით შეხერხილი, გაურღვეველი ჯიბის უნიჭო გამოკრიტიკოსებული პირი – მურმან თავიშვილი, მისი საქმიანობის შესაბამისად – მურმან ქერიაა! მერწმუნებით, რადგან მურმანს ასეთი რთული და საპატიო საქმის – „მერანისა“-ს მამა კლდისთვის მირთმევა“ – გაძლოა ანდეს, აქვს კიდევ ამ ამბავში სათანადო გამოცდილება, სტაჟი და კომპეტენცია. მტეიც, მისი კრიტიკული მზერის ამბავი რომ ვიცი, ვერაფრით შეეშლებოდა და „მერანისა“-საც პირნათლად და პირდად იმას მიართმევდა, ვინც ამ სანატრელ ჯილდოს ყველაზე მეტად დაიმსახურებდა.

ლიშვილს, რომ გალაკტიონს არავითარი ენობრივი რეკონსტრუქცია (და არა „დეკონსტრუქცია“) არ მოუხდენია და ბრევულ-თავხედურად მოყვანილი მაგალითიც ამისი მოდასტურებაა. ყოველივე აქედან, ორი რამ ჩანს: ერთი ის, რომ ჩვენს „ლიტერატორს“ არ გაუგია უპოპულარული ტერმინი – დეკონსტრუქცია, რომელიც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კონცეპტს გამოხატავს და, მეორეც, ჩვენი „ენის სინამდის დამცველი“ სანინააღმდეგო „რე“ და „დე“ სუფიქსებს ერთმანეთისაგან ვერ არჩევს და არ იცის, რომ არ არსებობს ისეთი სიტყვა, რომელიც ცალ-ცალკე ორივე მათგანს არ ირთავდეს.

„ალხანიშნავია ისიც, რომ კონკურსის პრიზიორთა შორის არ ყოფილან ისეთი კარგი და ნიჭიერი ავტორები, როგორებიც არიან, უპირველესად, გიორგი ფირცხალაიშვილი, შემდეგ, გიორგი გამხიტაშვილი (გიორგი მაკაველი), ქეთევან იოსელიანი, ნათია პაპიძე და გიორგი ჭეიშვილი.

კონკურსი „მერანისა“, წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით, სრული უბადრუკობა რომ იყო, ამის უარყოფა, ყოველ შემთხვევაში – თავში, არავის მოუვა!

ამით ყველა მოგებული დარჩება – რასაკვირველია, ეკატერინე მეორის გამოკლებით. ახლა კი, ნითლად შედოქტორებულო ამხანაგო მურმან, თქვენი ნებართვით, „მერანისა“-სთან ისევ მარტოს დაგტოვებთ (ვატყობ, ისეთი ახლო ურთიერთობა გაკავშირებთ, თავად უკეთ მორიგდებით!) და ძირითად საკითხს მივუბრუნდებო.

ამას კი, აბა, რა ამბავს იტყვიან? ამიტომ მურმანს თავისი სამარცხვინო უვიციობის გამო მკითხველი შეცდომაში რომ არ შეიყვანოს, იძულებული ვარ, ყოველივეს ნათელი მოვფინო. ამხანაგ მურმანსთვის დეკონსტრუქცია, რომლის მეთოდურ-ფუნდამენტოლოგიურ პრაქტიკებზეც დაგას თანამედროვე აზროვნების ნებისმიერი პარადიგმა – სისულელე და გაურკვეველობაა, ციცილიზებული მსოფლიოსთვის კი – ტექსტებთან როგორც სინამდვილეთა წარაცებთან ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდი.

\*\*\*

\*\*\*





მარიამ თიტრაძე


ჰიდეტომო კიბურაძე  
ხელოვნებას ადგილი  
წყალქვეშა მოუკახნა

თანამედროვე სამყაროში ხელოვნებამ დაკარგა თავისი კატეგორიები, რომელთაც ადრე დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ მისი წარმომადგენლები და თეორეტიკოსები. ჩვენს დროში, როდესაც „ესთეტიკის“ ცნების შინაარსი საოცრად გაფართოვდა, შედეგის დახახვა შესაძლებელია უბრალო ნივთშიც კი. თუმცა მთავარია, მას როგორ კომპოზიციაში წარმოაჩენ და რა რაკურსიდან დაიწყო რეციპიენტს. ის კი არა, ესთეტიკოსთა ბოლო საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინ გაიმართა, მისი მონაწილეები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ ხელოვნების არტეფაქტი იმ შემთხვევაშიც კი შეიძლება ეწოდოს ტექსტს ან საგანს, თუ ამის შესახებ ორი, ან ორზე მეტი ადამიანი შეთანხმდება. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ხელოვნების ცნების ყოვლისმომცველობაში უდიდესი წვლილი შეიტანა და ახლაც შეაქვს მის (ხელოვნების) მიმართ სხვა ადამიანების, უხეშად რომ ვთქვათ, მომხმარებლების დამოკიდებულებას. ეს მოვლენა განსაკუთრებით თვალშისაცემია მხატვრულ ლიტერატურაშიც, რომლის თანამედროვე ნიმუშების მიმართ მკითხველი განიხილება როგორც თანაავტორი; ის ტექსტის ავტორთან ერთად ქმნის ნაწარმოების შინაარსს და ინტერპრეტაციათა მრავალფეროვნებას. ავტორისა და რეციპიენტის შემოქმედებითი უფლებების ამგვარმა გათანაბრებამ უფრო საინტერესო და ინტერაქტიული გახადა სხვადასხვა სახელოვნებო პროცესები.

დღეისათვის უამრავი ხელოვანი ქმნის თანამედროვე სამყაროს კულტურულ სინამდვილეს. ერთ-ერთი ასეთი წარმატებული შემოქმედი **ჰიდეტომო კიბურაძე**, რომელმაც ბოლო რამდენიმე წელია, უდიდესი ავტორიტეტი და პოპულარობა მოიპოვა თანამედროვე ხელოვნებაში ძალზე ორიგინალური და შთამბეჭდავი „ხელოვნების აკვარიუმის“ შექმნით.

კრიტიკოსების შეფასებით, ეს არის ოქროს თევზების გამოფენის ინოვაციური გზა. 2013 წლის 12 ივლისს ჰიდეტომო კიბურაძის ნამუშევრების გრანდიოზული გამოფენა ტოკიოში საზეიმოდ გაიხსნა.

გამოფენა მხოლოდ საღამოობით ეწყობა, რასაც გარკვეული კონცეპტუალური დატვირთვა გააჩნია.



„ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველისთვის ერთი საინტერესო და მეტად კარგი ამბავი მაქვს. როგორც იქნა, შეთანხმებას მივალწიეთ მსოფლიო ხელოვნების საინფორმაციო მონსტრთან – artinfo.com. ეს კი, დღეიდან მასთან მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობის საშუალებას მოგვცემს. საუბარია ორგანიზაციაზე, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით აერთიანებს ხელოვნების აბსოლუტურად ყველა მიმართულების წარმომადგენლებს და მათთვის ერთ დიდ ინტერკულტურულ საინფორმაციო სივრცეს ქმნის. ამ თანამშრომლობის პირველ ეტაპზე გადაწყვიტეთ, „ლიტერატურული საქართველოს“ ახალგაზრდული გვერ-


სრულ სიბნელეში თუ წარმოიგენტ სხვადასხვა ზომისა თუ ფორმის ფერად, ზღაპრულად განათებულ აკვარიუმს თავისი იაპონური ტრადიციული მოსართავებითა და მასში მოცურავე ოქროს თევზებით, ნამდვილად მონუსხული დარჩებით ხელოვნების ასეთი საუცხოო გამოხატულებით.

წყალქვეშა გამოფენამ 200 000 დამთვალიერებელი მოაქცია დიდი შთაბეჭდილების ქვეშ. მომხდარმა მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბა, რაზეც დამთვალიერებლების რაოდენობაც მეტყველებს.

რენდგენის თვალთ  
დანახული სამყარო –  
ხელოვნება შიგნიდან

„დანიხე მსოფლიო შიგნიდან“- ამ ლოზუნგით გამოთქმული იდეა უძღვის ორი ამერიკელი ხელოვანის შემოქმედებას.

რენდგენის სტუდიები დაარსდა 2011 წელს დოქტორი პაულა ფორტიანისა და ჯოზეფ მოისანის მიერ.



ისინი პირველები არიან, რომლებმაც გამოიყენეს ხელოვნებაში სამედიცინო აპარატი – რენდგენის მანქანა, ულტრაიისფერი სხივები და სხვადასხვა ფერთა სპექტრი.

შედეგად მიიღეს ხელოვნების გასაცარი ნიმუშები - სხვადასხვა საგანთა რენდგენის ფერადი ფოტოები, რომლებიც ძირითადად შეიძლება გამოყენებულ იქნას ოთახის დეკორისთვის.

აღნიშნული საქმიანობა კომერციული თვალსაზრისით მეტად მიმზიდველი და მომგებიანი აღმოჩნდა. კომპანია ასრულებს პრივატულ შეკვეთებსაც. თუ თქვენ გაქვთ ლამაზი ნივთი, რომელიც გასურთ სურათში აღბეჭდოთ და მეგობარს აჩუ-

დების ფარგლებში გაგხსნათ მუდმივ-მოქმედი რუბრიკა – „art info“, სადაც გამოქვეყნდება ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მონოდეზიანი ექსკლუზიური მასალების ადაპტირებული ვერსიები, რაც ჩვენს მკითხველს საშუალებას მისცემს, გაეცნოს და მონაწილე იყოს იმ სახელოვნებო პროცესებისა, მსოფლიოში რომ მიმდინარეობს.

რუბრიკას კი ახალგაზრდა, გამორჩეულად ნიჭიერი ჟურნალისტი **მარიამ თეირაძე** გაუძღვება.

**p.s.** რუბრიკის ფარგლებში მეტი მრავალფეროვნებისათვის არ ვისარგებლებთ მხოლოდ აღნიშნული საიტით.

ლექსო დორეული



ქოთ, ორგანიზაცია დაგეგმარებათ ამ სურვილის განხორციელებაში.

ფიქრობ, ნამდვილად ღირს ხელოვნების ასეთი გასაცარი ნიმუშები უსახსოვრო საყვარელ ადამიანს, ან სულაც მისით საკუთარი საცხოვრებელი სახლი გაალამაზო.

პაულა ფორტიანისა და ჯოზეფ მოისანის სუპერ-ინოვაციური იდეა, რომელსაც მათ ფრთები შეასხეს, იმის შესანიშნავი დასტურია, რომ ხელოვნებას საზღვრები არ აქვს. მის არტეფაქტად შესაძლებელია იქცეს ნებისმიერი საყოფაცხოვრებო ნივთი და ცოცხალი ორგანიზმებიც კი: ბავშვის უბრალო სათამაშო დათვით დაწყებული, ლოკოკინით დამთავრებული. მეტიც, აღნიშნული არტმომდინარეობის შემქმნელები უფრო შორსაც წავიდნენ და რენდგენის აპარატს სხვადასხვა მდგომარეობაში მყოფი ადამიანის გააშუქებინეს ისე, რომ შედეგად ხელოვნების ნამდვილი ნიმუში მიეღოთ.

პირტუალურ და  
რეალურ სამყაროთა  
გზაგასაყარზე

სიხლე მაქვს ვიდეო თამაშების მოყვარულთათვისაც. დღეისათვის „არტ-house“-ს ვიდეო თამაშები უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ისინი წარმოებულია არტსახლის დამოუკიდებელი დეველოპერებისგან.

ეს თამაშები სრულიად განსხვავდება ტრადიციული, თრილერის ვიდეო თამაშებისგან იმით, რომ ისინი კონცენტრირებულია გარემოსა და ადამიანის სულიერ განწყობაზე, მათ ემოციურ ურთიერთმიმართებაზე.

აღნიშნული სპეციფიკის ვიდეო თამაშები გამოირჩევა თვალისმომჭრელი დიზაინით, უცნაურად მშვიდი გრაფიკული ინტერიერით და გემოვნებიანი მუსიკით.

Art house-ს თამაშები, როგორც მისი შემქმნელები ამბობენ, ემსახურება ადა-

მიანის ემოციურ განტვირთვას და დასვენებას.

ერთ-ერთი ასეთი თამაშია – „ყვავილი“. მოთამაშეს შეუძლია გახდეს ნიავი და იმოძრაოს ულამაზეს პეიზაჟზე. ყოველთვის, როდესაც შეეხებით ეკრანზე გამოსახულ მცენარეს, ის შეირხევა და აყვავილდება.

ამასთანავე, არის სათავგადასავლო თამაში სახელწოდებით „მოგზაურობა“. მოთამაშეს ეძლევა შესაძლებლობა, აიხდინოს ნებისმიერი ოცნება, იმოგზაუროს თვალუწვდენელ უდაბნოში, ან თუნდაც თავისი ფანტაზიის შესაბამისად, მთას ან ზღვას მიაშუროს.

ტილოზიდან ფოტოსუ-  
რათიზაზა გადმოსახლე-  
ბული პერსონაჟები

ფიქრობ, მკითხველისთვის ახალი და საინტერესო იქნება ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთი თანამედროვე ფოტოგრაფი ცნობილი მხატვრების ნამუშევრების ფოტო-პორტრეტებს ქმნის.

რა იქნება, რომ ხელოვნების აბსტრაქტული პერსონაჟები ერთხელაც გაცოცხლდნენ და ნამდვილი ადამიანების სახეები მიიღონ?

20 წლის უნგრელი ფოტოგრაფმა **ფლორა ბორსიმ** შექმნა ცნობილი მხატვართა პორტრეტების ფოტოზე აღბეჭდილი ვერსიები... პაბლო პიკასოს „ქალი მწვანე ქუდში“, ამაღლო მოდილიანის „პოლონელი ქალბატონი“ და ა. შ.

თითოეული ფოტოს დამზადებას დაახლოებით თორმეტი საათი სჭირდება. თავდაპირველად ფლორა ბორსი პორტრეტისთვის სწორად მორგებულ საგანს არჩევს; შემდეგ – აქსესუარები და მაკიაჟი... ამის მერე კი, ის ფოტოშოპით ხელახლა ქმნის ნახატის მსგავს ფოტოს, რომელიც ხელოვნების ნიმუშთა პერსონაჟების ნამდვილ, ხორცშესხმულ ფოტოვარიანტებს წარმოადგენს და ამ მსგავსებით ანცვიფრებს კიდევ მსახველებს.

ბორსის თქმით, ეს სამუშაო არ არის იოლი, რადგანაც თითოეული ნახატისთვის საჭიროა, იპოვოს სწორი პოზიცია და სახის გამოხატულება. ■



**ვალერა საბაშვილი**

**მე და ლექსები**

ჰოი, რამდენჯერ, არდანანებით  
მე ამომწურეს ჩემმა ლექსებმა!  
რამდენჯერ შუქი შორი ზმანების  
მე შემრჩა მხოლოდ, როგორც შეგრძნება!

რამდენჯერ უცებ დაემხო რწმენა  
და შემოდგომას გაჰყვა ხალისი,  
ან მერამდენედ გაფანტა ზენამ  
სითბო არასდროს ნახულ ქალისა!

ო, ნუთუ წავა ეს სიჭაბუკე  
და მტირალ გრძნობას ცრემლს არვინ მოწმენდს?  
ცეცხლებმა გული როგორ დაბუგეს,  
ნუთუ არავინ იქნება მოწმედ?

ნუთუ ვიშფოთებ და დავინვები  
მე – თვით ნაწილი ჩემი სულისა,  
და ციდან დაბლა დანამინები  
ჩაქრება ფიქრი დასასრულისას?

მე გაზაფხულის სურნელს ვიერთებ,  
ვარ გრძნობით სავსეც და გაძარცულიც,  
ამოუცნობად გავყურებ ეთერს  
და მესმის სუნთქვა ვინმე ქალწულის.

მე ვარ ნათელი, როგორც აისი  
და იდუმლობით მიმწუხრს მივაგავ,  
მე ალბათ განვვლე ჩემი გაისი  
და გუშინდელი დღე არ მინახავს.

ჩემს წინ იწყება გზა სამარადო,  
მე მას ვუღიმი ამ მწვერვალიდან,  
მე შემიძლია მუდამ ვანათო,  
ან უცებ გავქრე ყველას თვალიდან.

ნუთუ ჩაქრება ეს სიჭაბუკე  
და შეუცნობი დავრჩები მოძმეთ?  
ცეცხლებმა გული როგორ დაბუგეს  
ნუთუ არავინ იქნება მოწმედ?

მაგრამ არ ვშიშობ; მთელი სამყარო  
ცეცხლია, ჩემგან დანაკვეთსარი,  
მე შეიძლება ფიქრმა დამდაროს,  
მაგრამ დიდებაც სწორედ ეს არი.

მე გამიგებენ სხვა აზავებით,  
რადგან დიდების მადლით ვცხებულვარ,  
და არასოდეს არ დავმთავრდები,  
რადგან არასდროს არ დავწყებულვარ!

**დაგნაშავე ვარ**

რამდენი ვინმეს წინაშე მიძღვის აუნონავი ბრალი,  
ეს იმიტომ, რომ გადამიყვარდნენ, მათით აღარ

❖ პოეზია ❖ პოეზია ❖ პოეზია ❖

ვარ მთვრალი.  
ვიცი, მიზეზი აქვთ მრისხანების, მაგრამ არ  
ძალმიძს შველა,  
ჩემგან უზომოდ ზეატყორცნილი ძირს  
დაენარცხა ყველა.

რად მოვიხიბლე, რად გავალმერთე, რად გავუყენე  
გრძელ გზებს?  
თითოეული მკრთალად ბრწყინავდა თავის  
პატარა ველზე.

იყვნენ სრულიად მოკრძალებულნი, ხოტბა არც  
არვის სურდა,  
მაგრამ ამ ტრფობით მათი სიმშვიდის ვიქვეც  
უნებურ ქურდად.

სულ სხვაა, როცა არ გაქვს რალაცა, მაგრამ  
როდესაც სურვილს  
ჩაგანვეთებენ მისი ქონისას – ეს მოხვედრია  
ჭურვის.

მე მათ ვაჩუქე აღფრთოვანება, ზეალტაცება  
დიდი,  
მერე წავართვი – ეს იმას ნიშნავს, წყალზე  
ჩაგიტყდეს ხიდი.

ეს იგივეა, ვინმეს უწყალოდ ცა ჩამოამხო თავზე,  
უცებ წაართვა სასახლეები, თვალმარგალიტით  
სავსე.

ო, წინათ მათთვის ყოფის სიმკრთალე ჩვეული  
იყო ასრე,  
მაგრამ ზეციდან კვლავ ძირს ჩამოსმა თვითიულ  
მათგანს გასრესს.

დიდი ცოდვია და ბოროტება გადასვლა  
ნაპირებად,  
თუნდაც ხუმრობით – მთელი სამყაროს ჩუქების  
დაპირება.

ამიტომ მართლაც ბევრის წინაშე მიძღვის უღვივი  
ბრალი,  
რადგან მოვაკელ უსაზღვროდ ბევრი – მათით  
აღარ ვარ მთვრალი!

**ჩემი სინათლე**

გადავლენ წლები... დაუნანებლად სივრცე  
გაჰქელავს ყოველგვარ ფიქრებს,  
დავინყებათა უღმობელ აჩრდილთ ყრუ  
მდუმარება გარემოიკრებს.

გადავლენ წლები, ისევე როგორც გათენებისას  
გადავა მთვარე,  
შეუერთდება შორ უდაბნოთა უსასოობას  
გრძნობა ელვარე.

უთვალავ წუხილს, უამრავ დელვას ყრუ  
დაჟინებით დაჰფარავს მტვერი,  
დაჰკარგავს სათუთ გრძნობიერებას  
ათრთოლებანი სულისმიერი.

წაიშლებიან ნაფეხურები, ამოივსება ხევები  
შლამით,  
ჰაერს შესძრავენ ყმუილით მგლები და  
სანადიროდ გამოვლენ ღამით.

და ის, რაც ახლა ყველას აღელვებს და სულის  
ულრმეს კიდებს სწვდება,  
სულ სხვა თაობებს და სულ სხვა ხალხებს

დაუბრუნებლად დაავინყდებათ.  
გადავლენ წლები, სულ სხვა იქნება ჩემს  
მემკვიდრეთა სუნთქვა და გეზი,  
ჩემს ამგვარ წუხილს და მშფოთვარებას  
გამოეცლება ყველა მიზეზი.

და მერე იქნებ დაგისვან კითხვა სულო,  
ყოველგვარ ფიქრების ძირო:  
ვის რას არგებდა ეს მღელვარება, იყო კი იგი  
მართლა საჭირო?

მაგრამ მე მჯერა, მიაღწევს იქაც მშფოთვარ  
სტრიქონთა ურიცხვი წყება,  
და ყველა დროის აზრი ერთმანეთს მისი  
სინათლით გადაეხებება.

ივლიან წლები, გაიჭიმება უდაბნოებზე მწკრივები  
გრძელი,  
მაგრამ ბევრი რამ ყველა თაობას ექნება მაინც  
მარად უცვლელი;  
მიჰყვება დრო-ჟამს სტრიქონთა ზღვები და მათი  
ბრწყინვა მხოლოდ ათდება,  
გადაიკითხავს ვინმე წლებს იქით და უმალ სახე  
გაუნათდება!


გადაიხრება მთვარე დასავლით, სულ სხვა  
რიჟრაჟი მოიკრებს ძალას,  
შეეგებება უცნობი მზერა ციურ ვარსკვლავთა  
მბრწყინავ ამაღას,  
და თუმც თანდათან ბევრ რამეს ვკარგავ, მივალ  
სადღაც და ნელა ვიცვლები,  
ვიცი – დარჩება ჩემი სინათლე მაშინაც,  
როცა გადავლენ წლები.

**აზვნება**

მე ყოველ დილით თვით მზეს შევუვლი,  
ცას რომ ებნევა ღამაზ რითმებად,  
ასე მგონია, ჩემი სხეულიც  
იქ ამოდის და მზეში ინთქმება.

მე ვუმზერ ყვავილთ დილის მზით მთვრალებს,  
ხეებს და ბუჩქებს, ნიავს უზრუნველს,  
ფერებს ვისუნთქავ, როგორც მწყურვალი,  
მერე ნასესხებს ქალაქს ვუბრუნებ.

თუ სილამაზე აღარა გოდებს,  
უცნაურ გრძნობით გული მიღელავს,  
და როდი მყოფნის, მზეს ვუმღეროდე –  
მე თვითონ მინდა ვიყო სიმღერა!





პოეზია



თამურ შავლაძე

შენი იგავნით...

უფალო, შენით ვარ და ვიქნები!  
უფალო, შენით ვიყავი და ვარ!  
ვუგალობ ველის ბარდნარს ჩირგვებით,  
უფალო, შენი იგავნით ვდგავარ...  
დავალ უფალო, შენი იგავნით,  
ვუგალობ ველის ჩირგვებს ბარდნარით.  
ბაღნარს - გულთმამაღლობს ვერხვის ნიავეთ  
ვუკალმობ ეკლის კვირტებს თვალმნარით...  
უფალო შენით როგორ არ ვიყო,  
როცა ამდენი გზათ მცდის მაცთური.  
თუ ვხარობ დღენით შორთ-მსწორთ-  
მთარილობთ,  
მოვგავარ დევნილს მთვარის სანთურით...  
და თუ ტაძარში ველარ შევდგები,  
ვერც მლოცველად და ველარც ცოდვილად.  
აუგთ-ბაზარში მერცხლად შერჩენილთ,  
გვერგოს ვერცხლად ბზა წელთა(მ)  
სწრობილად...  
გვერგოს ვერცხლად ბზა წელთასწრობილად,  
აუგთ-ბაზარში მერცხლად შეფრენილთ.  
ვერც მლოცველად და ველარც ცოდვილად -  
აქ - თუ ტაძრად-გზად ველარ შეგვხვდები...  
მოვყავარ მზეს-მცვრილს მთვარის სანთურით.  
ვუგალობ დღეთ-ბრძნით შორთ-მსწორთ-  
მთარილობთ.  
როცა ამდენი გზათ მცდის მაცთური,  
უფალო, შენით როგორ არ ვიყო...  
ვუკალმობ ეკლის კვირტებს თვალ(თ)მნარით,  
ბაღნარს გულთმამაღლობს ვეფრთვი ნიავეთ.  
წყლულთ ვსალმობ ველის ჩირგვებ-  
ბარდნარით,  
დავალ, უფალო, შენი სიამით...  
უფალო, ვდგავარ შენი იგავნით.  
ვუგალობ ველის ბარდნარს ჩირგვებით.  
სულს ვნამლობ - მტრამალს ცერცვით  
მღვიარით,  
უართმრომელის სახლად ვმკვიდრდები...  
უართრომელის სახლად ვმშვიდდები,  
სულს ვნამლობ, მტრამალს, ელვის ციალით.  
ვუგალობ ველის ბარდნარს ჩირგვებით,  
უფალო, ვდგავარ შენი იგავნით...  
...  
შენი იგავნით...  
შენი იგავნით...

2013 წ.

ღროთი - მღლისებნი

და ზოგმა სად ჰპოვა ბინა და ზოგმა სად.  
დაზოგა მიწა და დაზოგა სახსარი.  
დაოკდა მდავობდა სიმზმართა „ოსანა“,  
დაობლდა ცის კართან ნამბორ(გ)ალთ  
მხატვარი...  
ზოგი სად გაიქცა, ჩაიქცა ზოგი სად;  
ზოგი სად წაიქცა, დაითქა სად ზოგი;  
მოჰკრბიან საი(თ)გან, რად-რის-მზღვრად  
მოდიან,

მოზერთიან მზართხმიან ავდრისგან  
ნაროზგნი...  
ავდრისგან ნაროზგნი მოზერთვილნან სხვა  
მხრიდ(გ)ან.  
თან სველნი, თან სკნელნი, თან ტალახიანნი.  
ავთ-ფრთისგან ნაფრთ(ხ)ობნი ორპირ(ნ)ად  
ალრლნილან  
და ელვით ნალესი თან დააქვთ ფხის-რქანნი...  
ჩვენ კი აქ ვილევით ყოველთ-დღეთ სიელმით.  
გადაუდაბურდა სინათლე თვალთლილი.  
შეირხა იერით თორმეტჯერ ხნიერი  
და ქართ-სულ(თ)საბურნალს მივაპნევთ  
დალლილნი...  
დღეები აყრილან ლიანდაგებივით.  
ქარავნით გარბიან - ოლონდ-კი აქედან!  
შენ ელი ხალხის ხმას წინაპართ წლებით-  
რწვნილს(თ),  
რაც დარდის ვარდცვირან ბოლომკმილს  
ნალეკავს...  
და გული, რომელიც ხარობდა ოდესლაც,  
დღეების ხალისით, სიცოცხლის „ოსანით“.  
ნამწუხრი მოელის მთვარობად მომღერალს,  
ფერების მფარ(ვ)ი ხმით მიმქროლი  
მგოსანი(თ)...  
... ზოგი სად წაიქცა და ზოგი სად და სად.  
დაობდა მდავობთა ფიქრი და სიმთ-ზარი.  
მოსწყინდა(თ) რაც სწყინდა(თ) ნაოთხგ ზით  
ნალალთ-ძმათ,  
და მოა(მ)ამოთა მიიმფრქვა სიზმარი...  
შორს - შორს ჩანს ის ეულ(თ) ჯვარით მშზერ-  
მცხოვარი -  
ეკალზე ზამბახით და იით მლმობელით.  
მოსძოვს თვალს იერუსალიმზე მგლოვარი -  
ძელჯვარზე ნაზამთრი ძაძით ღვთისმშობელი...  
ძელჯვარზე ნაზამთრი ძაძით ღვთისმშობელი -  
მოსძოვს თვალს იერუსალიმზედ მგლოვარი.  
ეკალზე ზამბახით და იით მლმობელი -  
შორს მოჩანს ის ეულთ ჯვარით მზე-მთოვარი...  
... და ზოგმა სად ჰპოვა ბინა და ზოგმა სად -  
დაზოგა მიწა და დაზოგა სახსარი.  
დაოკდა მდავობდა სიმთმზმართა „ოსანა“,  
დაობლდა ცის თალთა მახსოვართ მხატვარი...  
და გული, რომელიც ხარობდა ოდესლაც,  
დღეების ხალისით, სიცოცხლის „ოსანით“.  
ნამწუხრი მოელის მთვარობ-მნათ მომღერალს,  
ფერების მფარ(ვ)ი ხმით მიმქროლი მგოსანით...  
2013 წ.

ბალით ფატმანის

მე ვნერ ლექსს, რომელიც არავის სჭირდება.  
შენც ნერ ლექსს, რომელიც არ არის საჭირო.  
მემრგ(ვ)ემლე მომრგებლის ალამდრით ირთვება,  
მემრჩემლე მორჩენილ არჩივით არჩივობს...  
ქართმნილობს მემრე(კ)ვლე მოგველით  
ამალით.  
მორბენლის ალამით იფრთვება ვერძთ-მძევი.  
არ ინდობს შენს ლექსებს პოეზიით კალამი,  
მომ(რ)ბედნით სხვა მხარის იხრება ვერხვები...  
ირწევა ვერ-მწევი სხვათ-ფრაზ(ვ)ის მომხვეტი.  
პოეტ-მზიდთ კალამი არ ინდობს შენს ლექსებს.  
იქნება ვერ შემხვდი, ან მბრაზთ-გზით  
მოხვედი,  
მოელის (მ)ტრამალი ბრმათ-მიმნდობ ძველ  
მწყემსებს...  
მე აქ ვარ ყოველთვის, არსად არ წავსულვარ,  
არსად არ წავსულვარ და აქ ვარ ყოველთვის!  
მძლევთ-ვარვართ ქორთ-მზვევრი ქარდაქარ  
განსრულდა,  
და დარჩა წარსულად დავართა მპოვნელი...  
და დაი(ლ)არება ნესტანი(ც) ნესტარით.  
ვინ-რა და რომელის უსტარი(ც) არ სტვირ(ვ)  
ობს.  
კმარა იარებად ნეტარის ნექტარი  
მიწად ცხრად-მზ(მ)ობელის უნავირს  
ალვირობს...  
და ბალი ფატმანის იფრთვება ვარდებით.

შეიბა ზაფხულმა მზის ნისლის ბორკილი.  
ნალალი-ამაყი იგვ(რ)ემა დარდებით,  
შეირხა ქვაბულთ-და სინდისით ხმობილი...  
იღვრება სიცოცხლე ყოველზე მთოველი.  
მე ვნერ ლექსს, რომელიც მჭირდება მხოლოდ მე.  
იზრდება ცის ხომლზე მომრბედთ ბედთ  
მთბობელი,  
მდღევნელთ-მხეტთ მოესხმის იებად  
ობოლთ-მზე...  
ვინ ჰპოვებს სახედრებს ჩაკარგულთ ღამეში,  
აქ არვინ არავის არ უთმობს არაფერს.  
მიმოვრცვლეთ სახელთა ქარგული თაღები,  
მაგრამ მზით - მზვარაკნი ბრმად- უბნობთ  
დაგვფარეს...  
და ვნერ (მე!) ახლა(ც) ლექსს, რომელიც  
ძვირდება.  
უბრალოდ ძვირია, ძვირფასზედ ძვირ(მ)ფასი.  
დავცქერ წლებს-ნამთვარევს მოფ(რ)ენილს  
სიზმრებად,  
უალოდ მინთია სხივთა-მზე სინას მთის...  
უ(ვ)ალოდ მინთია სხივთა- მზე სინასი.  
დავცქერ წლებს-ნამთვარევს მოფენილს  
სიზმრებად.  
უბრალოდ ძვირია - ძვირფასზედ ძვირფასი,  
და ვნერ (მე!) ახალ ლექსს, რომელიც ძვირდება...  
და ბალი ფატმანის იშლება ვარდებით.  
შეიბა ზაფხულმა მზის ეტლის ბორბალი.  
ნალალი ქალაქი ფიორდება ავდრებით,  
ძელს ტვიფრავს ზაფრულთა მზირველი-  
მბორგალი...  
ძელს ტვირთავს ზაფრულთა მზირველი  
მბორგალი,  
ნალალი ქალაქი სიზმრდება სხვა ზმნებით.  
შეიფრთა ზაფხულმა მზის ეტლის ბორბალი,  
და ბალი ფატმანის ივსება ვარდებით...  
2013 წ.

მპარავი

იცი მან, იმ ლექს-მწერმა, ვის ზედაც ვნერ!  
...  
მპარავს ეს კაცი ლექსს და -  
(კვლავ!) შესაძლოა, ლექსებსაც!  
ავთვალს ეტმასვნის ექვს(თ)-ბრმადს,  
ნთქ(ლ)ავს ბრძენთა-სწორთა შემფერდმრთავს  
ნთქავს ბრძენთ-სასწორთა შემფერმდარს,  
ავთვალს ეტმასვნის ექვს(თ)-მბრმადს.  
(ხვალ!) შესაძლოა, შენს ძღვენს-ცხვრადს,  
ჰხადს ვალეზ-მთვალვის ვერცხლად...  
მპარავის ავს-თვალს მარიდე,  
ღმერთო, მეფარ(ვ)ე, მემზერე!  
კარავის კალთას, თვალთმრიდეთ,  
მენტოს მეფარნეთ მრევლმწე...  
და განმპოვრე ბოროტთა  
მზრახველთ-სანადელთ სანმისს.  
ცად-ცად ნაგროვებ ობოლ-თვალთ,  
ჯვარზედ ნანამებ კვართს ვრმკი...  
ვმრკი კვალს ნანამებს ჯვარზედ-ჯვრადს,  
ცხრაჯერ შენდობას შეგთხოვ.  
ვინც კვლავ მამრნამებს ცხრაჯერ -ცხვრადს,  
ჰსარჯე ქვებთ-მქობრად, ღმერთო!  
ღმერთო, შეუხდე ამ მპარავს -  
ჩემს ლექსში ხელის ხელრთვა.  
შენ ხომ შენთ-უკმევთ არ ჰხარავ,  
ვერც მე ვის(ვ)ეტყვი დელგმად...  
...  
ღმერთო, შეუხდე ამ მპარავს -  
ჩემს ლექსში ხელრთვა ხელის.  
ღმერთო, შეუხდე ამ მქარავს -  
მქერ - მქერ - მისებრთა მტვერი...







*ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ შორის აღარ არის ანზორ აბულაშვილი – საინტერესო და ყველასთვის საყვარელი პოეტი, რომელმაც თავისი სიტყვა თქვა თანამედროვე ქართულ პოეზიაში.*  
*ბატონი ანზორის უკანასკნელი ლექსები დასტურია იმისა, თუ რაოდენ ხალასი და სიცოცხლისუნარიანი იყო მისი პოეტური მუზა.*

**ყველაზე მეტი**

სიცოცხლის მეტი რა ისმის, მაგრამ ტირილზე მეტი მაინც არ არის... და გვანუგეშებს ჰანგი სუფრულის... თუ უზრუნველი ჰარი-ჰარალის. რაგინდ ხანგრძლივი სიცოცხლე გვქონდეს, სიკვდილზე მეტი მაინც არ არის. იგი ნიბლიას ნარზე ძილია, ჩამოქროლება წამში ალალის... მაგრამ ყველაზე უკუნი ღამეც მზის წარუშლელი მაინც არ არის, იმის ბრიალში ვის აგონდება მარადიული ძაძა სამარის... ერთხელ მოფრენა, ერთხელ ჭიკჭიკი და ერთხელ ცაში შეკვრა კამარის, სწორედ ამიტომ ცრემლის მდინარე ემაგ ღიმილზე მეტი არ არის. რისი მეფობა – ცუდმედილობა და თავაღერა ჩვენში მრავალის, მათი განცხრომის სიტკბო-ზმორება ჯვარცმაზე უფრო ტკბილი არ არის. და კიდევ ერთი, ჩემო კეთილო, შვილო და ძეო დედა თამარის, რაც უნდა დიდი იყოს ქვეყანა, საქართველოზე მეტი არ არის.

**დიდი ქალაქი**

ეს ყველაფერი შენ ხარ უჩემოდ და ჩემიანად ეს ხარ ისევე, დიდი ქალაქის დიდი ქუჩებო, მე თქვენს ხმაურში უფრო ვისვენებ. თუმც, ეს ყოველი შენ ხარ უჩემოდ, მაინც შენთან ვარ და გულზე გეკვრი, დიდი ქალაქის დიდი ქუჩებო, დამჩხვლიტეთ თქვენი ვერცხობის ეკლით. მძლე სიმღერათა შენ ხარ აკვანი, ბედს – იმ სიმღერის მთქმელთა შეენატრე. მე ერთ პატარა სოფელს დავაკლდი და შენს სიდიდეს ვერ მივგმატე. იმ ერთ სოფელში ცა არის ლურჯი და ორლობიდან შემოდის ბინდი, ეს თვალუნვდენი დიდი ქუჩები იქიდან უფრო მოჩანან დიდნი. იქ თეთრად იწვის ვარსკვლავთა ხომლი, აპრილი ცისფერ კვამლივით მიდის, ვეება მთვარე ამოდის ხოლმე და თოვლი იცის ძალიან დიდი. და მინდა ახლა, დიდი ქალაქით – ჩემს სახლს მდიმარი სახე ვუჩვენო, მე იმ უმცირეს სოფელს დავაკლდი და უფრო მცირე დარჩა უჩემოდ. მან მაპატიოს მე ეს წამოსვლა, მე იგი ყველგან დამყვება ფიქრად, მზე ადგეს იმ ჩემს კარ-მიდამოსა,

ავი თვალისგან დაცული იქნას. მე მეპატიოს სიმცირე მისი, თუ მას რაიმე დავაკელ მართლა, აშორდეს მის ცას ღამე და ნისლი და შემოვარდნა მძვინვარე ქართა. ის ჩემიანად მაინც მეტია, ის მეძახის და ტირის ვაზივით და თუ შენ ფრთებქვეშ ვერ შემეტიე და ვერ შემამჩნევს შენი გამზირი – მე დავბრუნდები ალაზნის პირას და გადამდებენ მზისფერს ატმები, მიუვალ მე ჩემს მზესა და წვიმას და მის გაზაფხულს მივგმატები. ნავალ, დამხვდება სახლი ნაზამთრი, თქვენ კი მერე რა – დიდო ქუჩებო, არ დავაკლდებით მაინც არაფრით, დიდნი დარჩებით მაინც უჩემოდ.

**ჯერჯერობით...**

ჯერჯერობით თუმცა აქ ვარ, მაგრამ ყოველ წამისად... გაისამდე ვინ რა იცის... ან რა მელის გაისად. დაყოფილა დრო და ჟამი დეკემბრად თუ მაისად, შუადღედ თუ შუალამედ, აისად და დაისად... სამოთხის თუ ჯოჯოხეთის მიმდგარი ვარ კარისად – გარდამხდელად ამა სოფლის სესხისად და ვალისად. მოჩანს კლდეზე სიზმრის შავი ღიმი ედეღვაისად, წარმოსახვად მკვდრის მზისა და მარადიულ ღამისად.

**წმინდა გიორგის მათრახი**

გამოკეტილა ამ გულში ჩემი მარტოსულობის შავფერი დამლა, მე მეპატიოს შედარებისთვის, ვითარ გვემული გვყავდა ნიკალა, თვალგაშტერებით დავაცქერდები ამა მდუმარ და ცარიელ ქალაქს, რამაც ამ ჩემი ნაფიქრი აზრის არცერთი სიტყვა არ მიიკარა. ნისლი ფიქრით ჩამოწოლილა – დღეა თუ კვირა, თვეა თუ წელი. უკვე ფეხიდან მეცლება მინა და სულ სხვა აკვნის მიჭერს არტახი. დიდი ხანია ამქვეყნიურმა თანდათანობით მომწყვიტა წელი. და ელვამ ასე გამეტებულად წმინდა გიორგის მირტყა მათრახი. ვაი, რომ ბედი თითქოს დამცინის და მე უმწეომ არ ვიცი, რა ვქნა, მე ჩემი ღამის შიშმა ნეტავი აქამდე რატომ უნდა მამციროს, არა და არა, ამ ხნის სიცოცხლის მბუჟტავი კვარი არაფრით ჩაქრა, ხშირად მჭმუნვარე, მაგრამ ხანდახან მომწამვლელ სიმწრით არ გამაცინოს. საით მივდივარ კი ვიცი, მაგრამ იმ სხვა სიცოცხლეს თუ ვადვეყარე, იქნებ არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ მაინც, როგორ ჩამომწვეთს ცრემლი რა თალხი. და ვხედავ, როგორ ალებს და ხურავს

ჩემი სვე-ბედის შეუცნობ კარებს და დამკრას მერე სულ ერთხელ თუნდაც წმინდა გიორგიმ ჯილდო მათრახი.

**ორიათას მეცამეტე წელს...**

რა ღამაში მოდიოდა ქალი, რა ღამაზად მოარხევდა წელს, თოვლზე მისი იხატვოდა კვალი – ორიათას მეცამეტე წელს. ყოველს აფერადოვნებდა ყველასათვის ამ სანატრელ დღეს და გვიწერდა ზეციერი ოდას ორიათას მეცამეტე წელს... და იმ თოვლში – ცეცხლის ალი ასხივებდა დამათრობელ ფერს... ყველაფერი იხატვოდა ყალბით, ორიათას მეცამეტე წელს.

14 იანვარი, 2013 წ.

ძველით ახალ წლის დღეს.

**ზეციური კურთხევა**

*მიუბაძველი გაფრთხილება და გიფრთხილები*

*მზია ფუტკარაძეს*

ციცქნა ზარები – რეკენ შროშნების, გულისთქმას ჩემსას როცა მიენდნენ და მოზეიმე ატმის დროშები სამოთხისაკენ მიმაცილებდნენ. მზე ჩამოსხივდა შვიდივე ფერით, სისხლმა იფიცხა და იმწუთხევა, თანაც სიგრილის მანამა ცრემლიც და ზეციური ვიგრძენ კურთხევა. ამა დღე-ღამის სიამის, ვიცი, გაქრა გულიდან ჯავრი ულვევი, პირველად ითქვა თურმელა ფიცის სიტყვა სიმორცხვით ნაჩურჩულევი. დაინთქა ყალბი მნათის კომმარი, შემიდგა ჟრჟოლა ენამდუმარე, რომ დარეკავდა კვლავაც შროშანი მე ამ ოქროსფერ ცით ვიგუმანე... და ასე თაფლის მინთიხარ სანთლად, ვის ნათებაშიც ღმერთი შემიძღვა... ფეხის წვერებზე მივლია მტკვართან, ხონთან მძინარს რომ არ გაგეღვიძა.

\*\*\*

მე შავფეროვან ძილად მიმაგდე და ხმაგაულებ ვისმენ ნანინებს, სიზმრად რომ უვალ კლდე და ღრით მივალ, ცხადსაც იქითკენ რად მაგ ზავნინებ. წლის არცერთი დრო არად მიკარებს, წლის ყოველი დღე მხოლოდ ავდრდება. ცა არაჟამად არ მიდებს კარებს, პულსი კი ცხრება და მდუმარდება... ჩქამგაულები რეკავს ცხრა ზარი, ამოუხსნელი მრჩება დილემა და ჭაპანწყვეტით მიმაქვს არსაით ცხოვრების მწარე გამოცდილება.

31 აგვისტო, 2012 წ.

წიგნების წიგნი

# გ ა მ რ ო ფ ე ნ ა

– ერეკლე II-სა და საბარათიანოს სარდლის დავით ორბელიანის ხელრთვით.




ალექსანდრე პეტროვიჩი

ეპისტოლური მემკვიდრეობა, მემორიალური ნივთები, რომლებსაც კვალიფიციურად შედგენილი ანოტაციები ახლდა და მეგზურობას უწევდა მნახველს, გამოფინა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

მუზეუმის შესასვლელთან გაკრული აფიშა გვამცნობდა, რომ გამოფინა – „1832 წლის შეთქმულება და შემდგომი პერიოდი“ გაიმართებოდა 22 თებერვლიდან 9 მარტამდე, მაგრამ მნახველთა მოლოდინში იგი 11 მაისამდე გაგრძელდა.

მართალია, საქართველოს ძნელბედობის ისტორიის ამსახველი ეს ამალეღვებელი გამოფინა თითქოს თვალსაჩინოს ხდიდა წარსულის ერთ მონაკვეთს, სინამდვილეში იგი ამით არ შემოფარგლულა. აქ უხვად იყო წარმოდგენილი ის მასალაც, რამაც თავდაზნაურობა არსებულ რეჟიმის საწინააღმდეგო შეთქმულებამდე მიიყვანა. მარტო გენერალ ლაზარევის შემოსვლა ტფილისში 1799 წელს, ფრანც რუბოს ნახატის მიხედვით შესრულებული ლითოგრაფიის ნახვაც საკმარისი იყო, რომ გავგეგო, რუსეთი ამ საოცნებო ქვეყანას აღარასოდეს დათმობდა.



Вступление в Г.р. Тифлис 17-го Егорского Генерал-Майора Лазарев, ильш 13-го лейб-гренадерского Ординанского ЕГО ВЕЛИЧЕСТВА полка 26-го Ноября 1799 года.

თუმცა მეფე ერეკლე II-ს სახელოვანი სარდლის, მისი სიძის, ასპინძის ომის გმირის – დავით ორბელიანის უღირსი ვაჟი, საბარათიანოს უკანასკნელი სარდალი იოანე ორბელიანი მოხერხებულად ატყუებდა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეს – ბატონიშვილ დავითს, როდესაც მიმართავდა:

„ბატონიშვილო და ბიძაჲ!

ნუ ჰკარგავ მეფობასა, მიბძანე და გამოუცხადებ რუსისა აქა ჯარსა წარვიდეს რუსეთად და თუ არა იქმს რუსისა ღენერალი, ადვილია მისი აქედამ განდევნა. დავიცვით მეფობა და განვამტკიცოთ მეფობითი სახელი ჩვენი, როგორც გვიმეფინია, ისევე ვიმეფოთ“. იმავდროულად კი გენერალ ლაზარევსა და რუსეთის მინისტრ კოვალენსკისთან შეხვედრაზე ბრძანა: „მე მოვასხენე დავითს ჩემი რჩევა დასაცვლად მეფობისა, ნიშნად ერთგულობისა, ვითარცა ფიცითა შეკრული მეფეთათვის ქართველთა. რადგანაც არა სურს მას დავითის მეფობა, როდესაც მივსცემ ფიცსა რუსეთისა იმპერატორს, ვექმნები ერთგული და მოვკვდები მისთვის ერთგულებაში“-ო და მართლაც, სიკვდილამდე რუსეთის იმპერიას ემსახურა.


ექსპოზიცია ოთხ დარბაზში იყო გამოფენილი. აქ ნახავდით ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ს, მისი მეუღლის – დარეჯან დედოფლის, უკანასკნელი მეფის – გიორგი XIII-სა და მისი მეუღლის – მარიამ ციციშვილის, დავით, იოანე, ფარნაოზ, ოქროპირ, თამარ და ერეკლეს საყვარელი ქალიშვილის – თეკლე ბატონიშვილის, შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ორენბურგსა და კალუგაში გადასახლებული მისი ვაჟების – ალექსანდრეს, დიმიტრისა და ვახტანგ ორბელიანების პორტრეტებსა თუ რეპროდუქციებს.

გამოფინაზე წარმოდგენილი იყო გეორგიევსკის ტრაქტატის მინაწერის ასლი

ექსპოზიციას ამშვენებდა ერეკლე II-სა და დარეჯან დედოფლის ვაჟის, ალექსანდრე ბატონიშვილის, სრუსის მიერ შესრულებული პორტრეტის რეპროდუქცია, თავზე განუყრელი ზოხობითა და ხანჯლის ვადაზე ჩაფრენილი ხელით, შეთქმულების წარმატების შემდეგ ქართველებს სამეფო ტახტის მომავალ მემკვიდრედ რომ ესახებოდათ. აბაშიძეებისგან რუსეთის ხელისუფალ ერმოლოვის ზეგავლენით „განბილებული სასიძოს“ გვერდით, უცნობი ავტორის მიერ შესრულებული, მისი მეუღლის – მარიამ ისაკის ასულ მელიქ-ალამოვას პორტრეტიც იყო წარმოდგენილი.



ქეთევან ერისთავი



ელიზბარ ერისთავი

იონა მეუნარგია მონოგრაფიაში „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ წერდა:

„...საუკეთესო კაცები საქართველოსი, ის კაცები, რომელთა საზოგადოებას მართლა შეეძლო მიეცა რაიმე ბარათაშვილისათვის, რუსეთში იყვნენ გადაგზავნილები. გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი ამ დროს რუსეთში ნაწილობრივ იმ ფარულ საზოგადოებაში მონაწილეობას, რომელიც დაწესდა თბილისში 1829 წელს. ეს კაცები წარმოადგენდნენ ჩვენს საზოგადოებაში სამწერლო ელემენტს და ამ ელემენტის უმყოფლობა საგრძნობელი იყო ჩვენი ერისათვის“.

ბარათაშვილი გენიოსად დაიბადა და გენიოსადვე დარჩა, მაგრამ თავდაზნაურთა 1832 წლის შეთქმულების გაცემამ, დამარცხებამ და „ყაზარმობის“ შედეგმა – მეგობარ-ნათესავთა შორეულ რუსეთში გადასახლებამ, ცხადია, ღრმა კვალი დააჩნია მის შემოქმედებას:

„ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი, წაგართო ავის ენისა გესლმან; სატრფონი მისინი, შემოგარენი გარდახვენილსა დაგისხო ეტლმან“.

წერდა 1836 წელს ლექსში „ძია გ... სთან“, რომელიც ვიღნოში გადასახლებული გრიგოლ ორბელიანისათვის გაუგზავნია.

1834 წლის 9 იანვარს დრამატურგი გიორგი ერისთავიც ვიღნოში, სამხედრო სამსახურში გააწვეს. „მივალ, გარნა-ლა სული აქ მრჩების“, – სწერდა პოეტი წასვლის წინ თავის მეგობარს – სვიმონ მაჩაბელს. ვიღნოში გადასახლებულ გიორგი ერისთავსა და გრიგოლ ორბელიანს განგებამ მოულოდნელი სიხარული არგუნა: ისე იონა მეუნარგიას სიტყვებს მოვიხმობ: „გრიგოლ ორბელიანისგან შეგვიტყვი: ერთხელ ვიღნოში ვიყავი და ნაცნობ პოლკის კომანდირს შევხვდი, რომელმაც ქართველი პრაპორშჩიკის ყოფნა მითხრა მის პოლკში. პოლკი თურმე ბანაკად იყო ვიღნოს გარეშე გასული და ცნობისმოყვარე პოეტი წავიდა ამ უცნობი პრაპორშჩიკის საძებნელად. ბევრი ვეძებე, – სთქვა პოეტმა, – და ბოლოს ერთი კარავი მიჩვენეს, რომელშიაც უნდა ყოფილიყო ეს პრაპორშჩიკი. შევედი და რა ვნახე? საღამოს პირზედ, დღის მუშაობისაგან დამაშვრალი, წამოწოლილი იყო ლოგინზე გიორგი ერისთავი და ღრმად ეძინაო.“

– გიორგი!  
– გრიგოლ!

გაისმა თურმე ძახილი და ორი მეგობარი გადახვიდნენ ერთმანეთს.

ეს პირველი შემთხვევა იყო გიორგი ერისთავისათვის ქართველი კაცის ნახვისა ამ უცხოეთში, და ადვილი წარმოსადგენია, რა ბედნიერება იქნებოდა ჩვენი დიდებული პოეტის ნახვა როგორც მისთვის, ისე გრიგოლ ორბელიანისათვისაც. ეს შეყრა სამუდამოდ სასიამოვნო სახსოვრად დარჩა“.

ქართველი მწერლების ბიოგრაფი საქართველოში „სამწერლო ელემენტის უმყოფლობას“ აღნიშნავს, მაგრამ მათ გარდა რუსეთის თვალუწვედნელ სივრცეში მრავალი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქართველი იყო გაძევებული. ყველას როდი გაუმართლა: გადასახლებიდან ვეღარ დაბრუნდნენ სოლომონ რაზმაძე და სოლომონ დოდაშვილი.

პირველი სამუდამოდ გადასახლეს პენზაში, რომელსაც საქართველოსთან განშორებამ ათქმევინა: „ნეტამც მაშულო, არ მომდებოდა შენის ხილვისა სურვილის აღი“-ო. იგი ამ დროისათვის 35 წლისა იყო, 63 წლისა პენზაში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. სოლომონ დოდაშვილის ნეშტი კი მადლიერმა საქართველომ 1994 წელს ვიატიკიდან სამშობლოში გადმოასვენა და მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში განისვენებს.

სწორედ საქართველოს ამ საუკეთესო კაცების ფოტოსურათები, პორტრეტები, ფოტორეპროდუქციები, მათი ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური მასალა,

**ბატონო თამაზ!**  
ვილოცავთ ვაზეთის აღდგენას! სასიხარულოა, რომ ამ უსამართლო ქვეყანაში ამჯერად „ბოროტსა სძლია კეთილმან“.

წერილი „გამოფინა გამოფენისათვის?!“, რომელიც გაახლეთ, დაინერა გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში მონყობილ ექსპოზიციაზე, რომელიც თავდაზნაურთა 1832 წლის შეთქმულების 180 წლისთავს მიეძღვნა.

სამწუხაროდ, გამოფინას მხოლოდ ოთხმოცდახუთი მნახველი ჰყავდა, მაშინ, როდესაც, საქართველოს პრეზიდენტობის მაძიებელთა რიცხვმა ორმოცდაათს გადააჭარბა.

ნუთუ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლმა შეთქმულებმა რუსეთში გადასახლებების სუსტი იმიტომ იგემეს (ბევრმა სამუდამო სასუფეველიც იქ დაიმკვიდრა), რომ დღევანდელ უმადურ საქართველოს მათი ღვაწლი და თავდადება არც გახსენებოდა?!

გამოფენის ოთხჯერ ნახვამ დამანერინა ის ტკივილიანი წერილი, რომელიც თქვენი ვაზეთისთვის იყო გამიზნული, მაგრამ მუზეუმის თანამშრომელთა და ყურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორის ინიციატივით იგი ყურნალის 6 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა, თუ ამას დაბეჭდვა ჰქვია.

ჩემი წერილიდან „გაფრენილა“ 6 სტრიქონი (კომპიუტერს დავაბრალოთ), მაგრამ იმავე დროს 8 ფოტოსურათიდან შეგნებულად „გაფრენილა“ 5 ფოტოსურათი. ამბობენ, გემოვნებაზე არ დავობენო, მაგრამ მე პირადად ალექსანდრე ბატონიშვილის, ბარათაშვილის ლექსის ადრესატის – ქეთევან ერისთავისა და მისი მეუღლის – შეთქმულების ერთ-ერთი თავკაცის ელიზბარ ერისთავის ფოტოებს გენერლების ფოტოებზე არ გავცვლიდი – თუნდაც ერთი ლაზარევი და მეორე ინფანტერიის გენერალი გიორგი ერისთავი ყოფილიყო. ასევე „გაფრენილა“ გამოფენის აფიშა, რომელიც შესრულებულია ფრანც რუბოს ნახატის ფონზე. არადა, მუზეუმის შესასვლელთან გაკრულმა ამ პატარა ფურცელმა თავისი მისია შეძლებისდაგვარად შეასრულა – ოთხმოცდახუთი დამთვალიერებელი „მოიპოვა“.

ლიბრარატორის მუშაობა

2013 წლის 22 თებერვლიდან – 9 მარტამდე  
წარმოადგენენ გამოფინას

1832 წლის შეთქმულება და შემდგომი პერიოდი

ფოტოგრაფია: მ. მანუჩარაძე

ფინი მისამართი: გ. ჯანუაშვილი ქ. 308

ჩემი წერილი „გამოფინა გამოფენისათვის?!“ მთავრდება სასვენო ნიშნით – მძიმით. სწორედ ამ მძიმე მდგომარეობამ – „გაფრენილა“ ექვსმა სტრიქონმა და ხუთმა ფოტოსურათმა მაძიულა თავზე ნაცარი წამყარა და თქვენთვის შეთხოვნა – მონონების შემთხვევაში წერილის პირვანდელი სახით დაბეჭდვა, ხოლო თუ ეს არ მოხერხდება, შემცირება მოხდეს ავტორთან შეთანხმებით.

პატივისცემითა და იმედით  
**ლეილა ნანიტაშვილი**  
10 სექტემბერი, 2013.





ჩემი სენაკი, მწირის ენამ კი იტყვის, წიგნებით არის შემკული. მამულის გარდა სხვა რა მენაღვლის? ვარ მეციხოვნე... ვრჩები ერთგული.



ის პატარა ონავარი, მეოცნებე ბიჭი, მთელი მისი მონავარი – კენჭები და ხიჭვი. უბე შავ ბლით, მონაპარით, წვივინასუსხი ჭინჭრით, თმაბურძგალა ონავარი, უმამობის ხინჯი, ის პატარა ონავარი, მეოცნებე ბიჭი. ბედთან საქმე როგორ მიდის, ბიჭო, ხომ არ გიჭირს?



რას შევხედავ? – ცას შევხედავ, ველოდები დარს, ზღვაგური რამ აამხედრა? რას სურს ქვედა ქარს? ავდარია, მაინც მხნედ ვარ, ვუძლებ გურულ „ზარს“ და ტკივილმაც ვერ გამხედნა, მიველ თმენის ზღვარს. იალ-კიალს ცაზე ვხედავ, თავს იმშვიდებს ზღვა, ვმღერი, დატანჯულო დედავ! ღმერთი გვანვევს დარს!



„თავს ზევით ძალა არ არის“, იტყოდა არაერთი, ყველამ იცოდეს, ცა არის, თავს ზემოთ, ცაზე, ღმერთი!



დაკოჟრილია ჩემი ხელები, აქ ყანა მიხმობს და იქით – ზაღრა, ჩემს სახლ-კარს ისევ თავზე ვეველები, მოსასვენებლად ხან წუთიც არ ჩანს, მხიბლავს მამულის მთა და ველები, მამული გულში ვით ტყვია ჩამრჩა, აქ ხომ ცხოვრობდნენ ჩემი ძველები? – მეც უნდა შევძლო შრომა და გარჯა.

## მურმან ლაბანიძის მონატრება

მურმან, გნატრობენ მთები, კვლავ ვართ ურჩნი და მღვრიე, მე შენი ლექსით ვთვრები, ქედი ვერ მოგვახრიეს. გაგიპარტახდნენ ზვრები. ვისმენ მტრის ურდოს ღრიალს, შფოთავენ შენი ძვლები და გვენატრები ძლიერ! მურმან, გინდა, ვერ დგები. რა სისხლი გვალვრევიეს. ლექსად კვლავ აენთები! დღეს საით? – გაგვარკვიე! გვიხმობენ ურჩი მთები, დასწმენდნენ ამ დროს მღვრიეს!

## სულის გღინაკე

გადავურჩები, მე მჯერა, ამ მარტს, გავიპრილებ, გავიმაისებ! კვლავ ჭაბუკურად ავივლი აღმართს, შევინარჩუნებ ამ სიხალისეს! მამულის მთვარის ეშხით ვითვრები, ნაჯაფარი და მზით გარუჯული, ჩემი პნკარების რითმა, რიტმი, სული ქართულია ხატი და რჯულით. მე ძმა ვარ თქვენი წრფელიც და მღვრიე, ატაცებულები, აღტაცებულები. სტრიქონს ღიმილთან ცრემლიც ვურიე, ვარ ტკივილებით დაკაცებული. ვმღერი, არ მინდა მნახოთ მტირალი, შეგიმსუბუქოთ, და-ძმებო, დარდი! ნისლს გადაიყრის ნასაკირალი და აყვავდება იასთან ვარდი! ჩემი არსება სულ სხვა ჩანს ცქერით, სიმღერით მოგკვდე პირმოღმარი, მოდის და მოქუხს, როგორც ჩანჩქერი, ეგ ჩემი ლექსი სულის მდინარე.

## როსა წყალ-მენყერს მიაქვს ქვეყანა

როცა მძვინვარებს სტიქია, წყალ-მენყერს მიაქვს ქვეყანა, სავიზიტოდ რად მიქრიან? მაშველი გამოეყვანათ. იმათ ღრეობას, იმ გრიალს

სჯობს, ხალხს ცრემლი არ ეღვარა! ვამბობ, წინათაც მითქვია, სჯობდა მშრომელ კაცს ეხარა! ნაშრომ-ნაღვანი ღვარს მიაქვს, ვაიმე, ჩემო ქვეყანავ! სავიზიტოდ რად მიქრიან? – მაშველი გამოეყვანათ!


## პოეტ ნოდარ ხუნდაძეს!

ისევ აყვავდა ტყეში მოცხარი, ჩემს „ის გორას“ ია ამშვენებს პოეტი? გახლავთ ხუროთმოძღვარი სიტყვით ხელთუქმნელ ტაძარს აშენებს. ცვართა ბროლებით ბრწყინავს მინდორი, მიდი, უმღერე, შინ რას უზიხარ! პოეტი? გახლავთ კომპოზიტორი, რითმით და რიტმით ის ჰქმნის მუსიკას. რეჟისორია და სულით სპეტაკს დასიც ჰყავს სამოსსავსე კამოდით, პოეტი? სიტყვით დგამს ისეთ სპექტაკლს, სცენიდან ძირს რომ აღარ ჩამოდის. მზეზე ნებვირობს, პირს იბანს კატა, ქარში ნარნარებს ვერხვის კატარი, პოეტი? – პორტრეტს სიტყვებით ხატავს ყვლა მხატვარზე დიდი მხატვარი. ქვეყნის სამრეკლო მისი მკერდია, რომც არ შეამკონ დაფნით თუნდ პალმით პოეტი? – სიტყვით შემოქმედია, სხვაგვარად რომ ვთქვათ – სიტყვის უფალი.

## ჯუმათის მონასტრისადმი

ვეფერები ჯუმათს ჩუმად, თუმცა რა მაქვს საჩუმათო, ზარი ვერვინ ჩააჩუმა, რეკს სამრეკლო საჯუმათო. ნიაგმაც ჩამიჩურჩულა, ცა ლურჯია საგუმბათოდ, ოცნებები ამისრულა, ჩამომცილდი, სევდა-დარდო! ვეალერსო მინდა ჯუმათს, ახლა რა მაქვს საჩუმათო? ვერავინ გადაგვარჯულა, მსურს სიმღერა საჯუმათო!

## ჯეჟალ ღოგოჯანიძე



## ტოკატა

ოცნებისფერი ზამბახი ჩემთვის გაზაფხულს მოჰყავდა მუსიკა როგორც მწვავს ბახის ღვთაებრივია ტოკატა... ამიტანს ჟურჟოლა-ცახცახი, გულიც ტოკავს, ვით ტოკავდა. მუსიკა? – აი, მწამს ბახის სამყაროს კლიტე „ტოკატა“.

## წმინდა გიორგი

გიორგი, ყველა იოგი, ასე ნეტავ რად მტკივა? ბედს გაქცეული იორღის ცუდი მხედარი კი ვარ, ყვირილს ვაჟღერებ იმ ხორხით, ასეთ დროს ლექსით მყივარს, უძლეო წმინდა გიორგი, შენით იმედი ღვივა.

## მოლოღინი

მოჩანს ველი, მე რას ველი? ჩემი ყოფა მწირი, თვალები მაქვს ცრემლით სველი, ვტიროდი და ვტირი. მგოსნის თმენა მეტად ძნელი, მართლაც გასაკვირი. ახალ მელოდიას ველი, რადგან მე ვარ სტივრი.

## მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესე-

ქსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში: ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“ კოდი: MIBGGE22 ანგ. № GE61PC0183600100029708

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

## ძვირფასო ავტორებო!

რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღმატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს „ასავალ დასავალის სტამბაში“ მისამართი: თბილისი, აგლამის ქ. 39 ტელ: 2343330; ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი **თამაზ ნიჟვიჯაძე**



გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

E-mail: [litsaqartvelo@yahoo.com](mailto:litsaqartvelo@yahoo.com) ტელ.: 293 69 77

გამოდის პარასკეობით